

საგარეო საბ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროს ორგანო

Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

832

1953

ქვეყნი

დროშა

“NOTRE DRAPEAU”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 14

პარიზი

ო ჯ რ ი ბ ი

Paris.

1953

ჩვენს მკითხველს.

ბედმა გვარგუნა ამიერიდან ჩვენი ჟურნალის გაძლოდა უმისოდ, ვინც მუდამ ჩვენი ხელმძღვანელი იყო, როგორც პოლიტიკაში, ისე მწერლობაში.

ალარ არის ნოე უორდანიას. ჩვენ დავკარგეთ მასში არა მარტო ჩვენი ქვეყნის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ დიდი და დაულალავი მწერალიც, ჩვენი პრესის დამამშვენებელი პუბლიცისტი. იგი «ჩვენი დროშა»-ს სულის ჩამდგმელი იყო: იმის დაკარგვა ჩვენთვის აუნახლაურებელი დანაკლისია.

მაგრამ ვალდებული ვართ ეს განაჩენი მივიღოთ და მისი მეთაურობით და მასთან ერთად დაწყებული საქმე განვაგრძოთ.

ვეცდებით ნაცად გზას არ ვუღალატოთ და საქართველოს სოციალდემოკრატიის მიერ წარმოებული ბრძოლა თავისუფლებისთვის არ გავანელოთ. ამ დიდ მოვალეობას აქვეყნებ «ჩვენი დროშა»-თი ხელში გვინდა ვემსახუროთ.

ჩვენ საქმეს აადვილებს ის გარემოება, რომ ჩვენ უკვე გვაქვს აღებული ძალიან გარკვეული მიმართულება და ამ მიმართულებას მივყავართ იმ დანიშნულებისკენ, ყველა თავისუფლების-მოყვარე ქართველს ახლა ნიშანში რომ აქვს ამოღებული: ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება.

ეს დანიშნულება ჩვენ გვეერთებს სხვებთან, ძალიან ბევრთან. ბრძოლის გამოცდილება, ქართველ სოციალდემოკრატიის მიერ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მოღვაწეობიდან გამოტანილი, ჩვენ ამ საერთო საქმეში შეგვაქვს. საჭირო არის ამ გამოცდილების ცნობაში მოყვანა, იმის ახსნა და განმარტება, იმის გამოყენება.

ამას ემსახურებოდა და ჩვენ გვინდა შემდეგშიც ამას— და მით საქართველოს განთავისუფლების საქმეს—ემსახუროს ჩვენი ჟურნალი, მთელი თავისი შესაძლებლობით.

«ჩვენი დროშა» პარტიის ორგანოა. იმ პარტიის, რომელიც საზოგადოების ფართო წრეებს ემყარება და არა რჩეულთ ამა ქვეყნისას. სხვა პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით, იგი უფრო დიდი ხნის ტრადიციის და წინასწარ გათვალისწინებულ სამოქმედო ტაქტიკის და დისციპლინის მატარებელი იყო. ბრძოლას მიჩვეული თავის რწმენის და შენე-

30265



დულების თანახმად, იგი კვლავაც ამ რწმენის და ამ შეხედუ-  
ლების თანახმად განაგრძობს ბრძოლას. უშლის თუ ხელს უწყ-  
ობს ეს საერთო საქმეს? რა არის ახლად შესატანი მის მო-  
ქმედებაში, რა დაძველდა და უკუსაგდებია?—ეს საკითხები  
ჯერ საკუთარ ოჯახში, თავის პრესაში, უნდა განსაჯოს პარ-  
ტიამ, რათა სხვებთან საერთოდ აღებულ პოლიტიკურ ხაზს  
მეტის ენერგიით, ნდობით და შეგნებით მხარი დაუჭიროს:  
პარტია ერის სამსახურში იყო და რჩება.

გაფანტული მთელ მსოფლიოში ქართველი ემიგრაცია  
და ჩვენი თვითონ ქართველი ხალხი—რამდენათ მას ჩვენი  
ხმა მისწვდება—დაინტერესებული არიან იმაში, თუ რას ფი-  
ქრობენ და რა გზას ადგანან უცხოეთში განიხნული ჩვენი პარ-  
ტიული თანამოაზრენი, მათი ორგანიზაციები და მათი ხელ-  
მძღვანელები. სრულიად ბუნებრივია, რომ მათ სურთ გაიგონ  
უშუალოდ ამ პარტიის წარმომადგენელთა ხმა და საკუთარ  
პრესაში ამოიკითხონ მათი აზრები. ამის საშვალებას მათ ვერ  
წავართმევთ: ამისთვის გვეჭირია, საერთო ორგანოებთან ერ-  
თად, გვექონდეს ჩვენი საკუთარი პრესაც.

უცხოეთში არსებობენ ჩვენი ფრონული, პარტიული და  
ემიგრანტული დაწესებულებანი, საქართველოს განთავისუფ-  
ლების საქმეს რომ ემსახურებიან. ჩვენი მოვალეობაა მათ  
მხარი დავუჭიროთ სასარგებლო საქმიანობაში, გავამხნევოთ  
ისინი და ჩვენს მკითხველს გავაცნოთ და განუმარტოთ მათ  
მიერ გადადგმული ნაბიჯები და გაკეთებული საქმე, რათა  
ესენიც, ჩვენი მკითხველნი, გვერდში ამოუდგენ ჩვენს საერთო  
ფრონულ და პარტიულ ორგანიზაციებს უცხოეთში.

«ჩვენი დროშა» შეეცდება სწორი დაფასება მისცეს ჩვენ-  
თვის საინტერესო მოვლენებს და ამხილოს გამრუდებული  
გზა, საიდანაც უნდა მოდიოდეს და საითაც უნდა მივყავდეთ  
იმას.

ჩვენ ვეცდებით ჩვენს ირგვლივ ახალგაზდა ძალები შე-  
მოვიკრიბოთ. ახალგაზდობა არის ჩვენი მომავალი და ჩვენი  
ბრძოლის გამგრძელებელი. ხოლო ჩვენმა ახალგაზდობამაც  
მეტი ენერგია უნდა გამოიჩინოს, მეტი ინიციატივა, სამწერ-  
ლო და საზოგადოთ განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტი-  
ურ მონაწილეობისთვის.

ჩვენ ვეცდებით საერთო ენა ვიპოვოთ ყველასთან, ვინც  
—თუმცა სხვადასხვა გზით—მაგრამ იმავე განმათავისუფლე-  
ბელ მოძრაობას ემსახურება. საქართველოს განთავისუფლე-  
ბისთვის ბრძოლა—ესაა ჩვენი საქმე, ყველასი, ამ ემიგრაცია-  
ში. სხვა ყოველივე აქ ჩვენთვის ნიადაგს მოკლებულია და  
უმნიშვნელო.

ვინც ჩვენი საქმის გამარჯვებაში დარწმუნებულია, იგი ახლა მომავალზედაც უნდა ფიქრობდეს. ჩვენ არ შეგვიძლია ყური არ ვათხოვოთ ყოველივე იმას, რაც აქ, ჩვენს გარშემო, თავისუფალ ქვეყნებში ხდება სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში. ჩვენი ცდა იქნება ყოველივე ამან კპოვოს ჩვენს უურნალში გამოძახილი, ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებით.

საქმე ბევრია საყურადღებო, დასაფიქრებელი და შესასწავლი. ამავე დროს ემიგრანტის მდგომარეობა საერთოდ მძიმეა, დაუდგარი. ამისთვის ჩვენი უურნალი მოითხოვს ჩვენი პარტიულ მეგობრებისგან და თანამგობრობთაგან დახმარებას—მორალურს და ნივთიერს—გამხსნელებს, მეტ გამოძახილს, უურნალთან მჭიდრო კავშირს.

ამის იმედით «ჩვენი დროშა» იხედება წინ, მომავლისკენ, დარწმუნებული, რომ იგი დაიმსახურებს მკითხველის სრულ ნდობას. განსაკუთრებით საჭიროა ეს ახლა, როცა საბჭოთა კავშირში ხდება ისეთი ამბები, რომელიც ითხოვს ჩვენგან მეტ ყურადღებას.

### ✓ საბჭოთა კავშირის დიდი მარცხი.

არსად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური მოძრაობა თავისთავათ, დამოუკიდებლათ, არ განვითარებულა. იგი გაუგონარ დემაგოგიის და უძლიერეს პროპაგანდის ქარს მოაქვს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ხან აქ და ხან იქ, აშკარად თუ შეუმჩნეველად, იგი იპყრობს საზოგადოების ზოგიერთი წრეების აზროვნებას; ამას ემატება შემდეგ ნივთიერი საშვალებანი და ხიშტები იმ სახელმწიფოსი, სადაც თანამედროვე კომუნისში წარმოიშვა, განვითარდა და დამკვიდრდა, როგორც მებრძოლი რელიგია, და ახლა მსოფლიოს დაპყრობას ლამობს.

კომუნისმის პირველი მსხვერპლი ყოველგან მუშები არიან. ისინი საზოგადოების სოციალურათ და ეკონომიურათ უფრო ჩამორჩენილი წრეებია და ამიტომ კომუნისტური პროპაგანდის მომხიბლავი პერსპექტივები მათ ადვილათ იზიდავს. ხოლო, გადადგამენ თუ არა ნაბიჯს კომუნისტურ პარტიასთან შესაერთებლათ, მუშები ამ პარტიის მსხვერპლი ხდებიან. სულ მალე რწმუნდებიან, რომ მონობაში ჩავარდენ, მაგრამ თავისუფლათ უკან დასახვეი გზა აღარ რჩებათ და პირდაპირ თუ არაპირდაპირ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას ეწვეიან. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა ჯერ თვითონ რუსის ხალხი და შემდეგ მისი მეზობლები და ეგრეთ წოდებული «სატელიტები».

მართალს ამბობდა ერთ დროს ფ. ლასალი—«ზარბაზნებიც კონსტიტუციის ნაწილი არის» ო. არსად ზარბაზნები და ხიმტები ისეთ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობენ სახელმწიფოს შიგნით, რამდენს საბჭოთა წესწყობილებათაში. ამიტომ, რამდენათ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება იზრდება, იმდენათ უფრო მაგარი სალტე ერთყმება იმ ხალხებს, საბჭოთა კავშირის ნაწილს რომ წარმოადგენენ თუ იმის გავლენის ზონაში რომ იმყოფებიან. პირველ მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც კომუნიზმის ნაპერწკლები ბლომათ ცვივოდა ევროპაში—ჰუნგრეთში, იტალიაში, გერმანიაში—მაგრამ სულ მალე იქმნა იგი აღმოდგერილი ადგილობრივი მოსახლეობის საკუთარ ძალებით. ახლა ეს შეუძლებელი ხდება, რადგან კომუნისტურ მოძრაობას ყოველგან უკვე ძლიერი და უდიდესი მილიტარული სახელმწიფო ამაგრებს, საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის დაძლევა კი ადვილი არ არის.

ამიტომ ჯერ ჩეხოსლოვაკიაში და შემდეგ ბერლინში და აღმოსავლეთ გერმანიის თითქმის ყველა დიდ ქალაქებში მუშების გამოსვლამ, გაფიცვებმა და საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ შეტევამ (რომლის აღწერას ქვევით ნახავს მკითხველი) მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ეს ამბები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული; მათ ანგარიშში იღებენ მომავალ სამოქმედო გეგმის შესამუშავებლათ დასავლეთის სახელმწიფოები.

გაბედეს!.. ფრანგის ერთი მწერალი გერმანელ მუშების გამოსვლის გამო, გასულ ივნისის თვეში, იხსენიებს პეტერბურგის მუშების გამოსვლას 1905 წლის იანვარში: ეს უკანასკნელნი ხატებით ხელში სახამთრო სასახლისკენ გაემგზავრენ, მშვიდათ და მოწიწებით მეფისთვის მათი მდგომარეობის გაუმჯობესების სათხოვრათ. მეფის ადმინისტრაციამ მათ ტყვიით უპასუხა.

ბერლინის მუშების დემონსტრაციასაც მშვიდი ხასიათი ჰქონდა. ისინი ფიქრობდენ, რომ «მუშათა მთავრობა» მათ პროფესიონალურ მოთხოვნილებებს (სამუშაო ქირის მომატება) გაიგებდა და შეიწყნარებდა. «მუშათა მთავრობამ» კი მათ ზარბაზნებით და ტყვისმფრქვეველებით უპასუხა. მუშათა სისხლი დაღვარეს სწორეთ იმათ, ვინც მუშებს მუდამ უქადაგებდენ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობები არიან მუშათა «სისხლის მწოველები»-ო! საქართველოში 1924 წლის სახალხო აჯანყებას ბოლშევიკები აწერდენ მემამულეების, მღვდლების და კაპიტალისტების მეთაურობას. აქ ხომ ვეღარ იტყვიან, რომ ბერლინში მუშები არ აჯანყებულან «პროლეტარიატის დიქტატურის» წინააღმდეგ? და, სასტიკ რეპრესიების განმახორციელებლათ გამოვიდა გერმანიაში და ჩეხოსლოვაკიაში არა ადგილობრივი მთავრობა, არამედ საოკუპაციო, საბჭოთა კავშირის ჯარი და პოლიცია. ადგილობრივ მთავრობის ადმინისტრაციას საბჭოთა კავში-

რის საოკუპაციო ხელისუფლება, პირიქით, სისუსტეს სწამებს და ასამართლებს. არც თვითონ რუსის ჯარებში არ უნდა იყოს რიგიანათ საქმე რადგან ბრძანების შეუსრულებლობისთვის, როგორც განხეთები ამბობენ, ბევრი მათგანი იქმნა დასჯილი,

ევროპიელ მუშისთვის ის, რაც საბჭოთა კავშირში ხდება, სწორად დაუჯერებელი ამბავი იყო. ახლა ეს დრამა ევროპის შუაგულში დატრიალდა. გერმანიის მუშა, მუდამ დინჯათ და მედგრათ მებრძოლი თავის ნივთიერ და პოლიტიკურ უფლებების, დღეს პირისპირ დაეტაკა ამ ნიადაგზე საბჭოთა კავშირის კომუნისტურ ხელისუფლებას. ამ დატაკებამ მას პროფესიონალური მოთხოვნილებანი უცებ პოლიტიკურ ლოზუნგებით შეაცვლევინა და უბრალო დემონსტრაცია აჯანყებათ გადააქცია. «ძირს საოკუპაციო ხელისუფლება, გაუმარჯოს თავისუფლებას!»-ო, ხმამალა გაისმა ხმა აჯანყებულ მუშების. ეს დიდი ამბავია, საბჭოთა კავშირში და მის მიერ ძალით დაკავებულ ქვეყნებში დღემდის სრულებით გაუგონარი!..

მართალია, ჯერ-ჯერობით, მუშები დამარცხებული არიან და გამარჯვებული ხელისუფლება შურს იძიებს მათზე შეუბრალებლათ; მაგრამ ამ ამბავმა ჯერ გერმანიის მუშები და შემდეგ მთელი გერმანიის ხალხი, და მის მდგომარეობაში მყოფი ყველა ხალხები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა, სავსებით გამოაფხიზლა. გაქრა ტკბილი ოცნება, თუ ვინმე მუშებში კიდევ ატარებდა ამას საბჭოთა წესწყობილებასზე. უნაყოფოთ არ ჩაივლის აღმოსავლეთ გერმანიაში ამ წლის ივნისში მომხდარი და ჯერ კიდევ დაუსრულებელი ამბები. პეტერბურგში მშვიდობიან დემონსტრანტების გაჟლეტას 1905 წლის იანვარში სულ მალე იმავე წელს ოქტომბრის რევოლიუცია მოყვა მთელი იმპერიის მასშტაბით, და 1906—1910 წლების ტრეპოვების და სტოლიპინების სავლელ სასამართლოებს 1917 წლის დიდი რევოლიუცია. ეს ჩვენზე არა ნაკლებათ იციან კომუნისტების ხელმძღვანელებმა და ამიტომ მათ მოუსვენრობა იპყრობს. ეს ახსოვთ დასავლეთშიც და ამიტომ გერმანიაში მომხდარ ამბებს ახლა მეტ ყურადღლებას აქცევენ, ვინემ სხვა რომელიმე დიდ ამბავს, ამ უკანასკნელ დროს მსოფლიოში თუ ადგილი ჰქონდა.

ჯერჯერობით საბჭოთა კავშირი ძლიერია. მისი ტანკები და ზარბაზნები არც აწი სადმე დაინდობენ შეუიარაღებელ ხალხს და ამ საშვალეებით ერთხანს კიდევ იფარფაშებენ ქვეყნიერების ძალიან დიდ სივრცეზე. მაგრამ უდავოა, რომ მათ ახლა დიდი მარცხი მოუვიდათ, ძალიან დიდი: ახლა ყველამ დაინახა ნათლათ, თუ რას ნიშნავს საბჭოთა მეთაურების ტკბილი სიტყვები, საიდან მოდის ძლიერება კომუნისტურ პარტიების სხვადასხვა ქვეყნებში და ვინ ამბარებს და ასულადგმულებს ქვეყნათ ამ უდიდეს რეაქციის მატარებელთ.

და, უპირველეს ყოვლისა, ბერლინის ამბებმა თვალი აუხილა განუსაზღვრელ დემაგოგიით მოტყუილებულს მუშას. გერმანელ მუშამ გაიგო, თუ ვისთან აქვს საქმე, რას პირდებოდნენ მას და რა მოუტანეს. იგი აჯანყდა. ეს აჯანყება უბრალო ამბავი არ არის, იმიტომ რომ გერმანელ მუშისაკენ ეპირათ მუდამ თვალი და ახლაც მისკენ იხედებიან გერმანიის მეზობელ ქვეყნების მუშები, და შორეულნიც. მართალია, ჯერ-ჯერობით ისინი დამარცხებული არიან, მაგრამ საკმარისია ერთი ორი ასეთი «გამარჯვება» კიდევ იგემოს საბჭოთა კავშირმა «მუშათა ფრონტზე» და კომუნისტურ იმპერიის ნგრევა შეიძლება სწორეთ იქედან დაიწყოს, სადაც საბჭოთა კავშირის სულის-ჩამდგმელთ ეგონათ, რომ მაგარ ნიადაგზე ჰქონდათ ფეხი დაბიჯებული: სამრეწველო ცენტრებიდან, ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან. იქნება ასე განხორციელდეს ბოლშევიკების მიერ ყოველ ნაბიჯზე ხმარებული ლოზუნგი: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»-ო და პროლეტარების ეს «შეერთება» უპირველეს ყოვლისა საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ იქნება მიმართული...

გერმანიის ამბებმა უკვე კპოვა თანაგრძნობა და გამოძახილი «მუშათა სინდიკატების საერთაშორისო თავისუფალ კავშირში», რომელთა კონგრესს ამ დღეებში ადგილი ჰქონდა სტოკჰოლმში; ამ ამბებს გამოეხმაურენ სხვადასხვა ქვეყნის მუშები ევროპაში, იგი პოულობს თანაგრძნობას ყველა თავისუფლების მოყვარე ხალხში და დედამიწის ყველა კუთხეში.

### ჩვენი მუშაობის გეგმა.

ამ 32 წლის განმავლობაში ემიგრაციაში ქართულ საკითხზე დიდი პოლიტიკური მუშაობა გაწეული. თავიდანვე ამ მუშაობის სათავეში იდგა და მას ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული მთავრობა, რომელიც ამისათვის დამფუძნებელი კრების მიერ სპეციალური მანდატით იყო აღჭურვილი. ნოე ჟორდანიას მთავრობის ირგვლივ შემოკრებილი იყვნენ დამფუძნებელი კრების პრეზიდენტი და საქართველოდან პოლიტიკური პარტიების მიერ ნდობით მოსილნი მათი წარმომადგენელი. ერთად და სოლიდარულად ესენი ეწეოდნენ დაუღალავ მუშაობას მოსკოვის იმპერიალისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ და ცდილობდნენ მოეპოვებინათ თანაგრძნობა ევროპის ქვეყნების ოფიციალური წრეების, თუ საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციებისა ქართველი ერის თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღსადგენათ.

ქართულ პოლიტიკურ პარტიათა შორის განსაკუთრებულ ენერგიულ მუშაობას ევროპაში აწარმოებდა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი წარმომადგენლობა. სანამ ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყანა დაპყრო-

ბილი არ იყო უცხო ძალების მიერ, საქართველოს სოციალ-დემოკრატია დიდ მუშაობას ეწეოდა ევროპის სოციალისტურ წრეებში ქართული საკითხის საპროპაგანდო და ექებ-და ცნობილ და გავლენიან სოციალისტების დახმარებას, როცა ესკი შესაძლებელი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურად საცნობათ. ამ მხრივ მან იმ დროს დიდ შედეგებსაც მიაღწია.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც საქართველოს სოციალდემოკრატიის მოღვაწეობა ემიგრაციაში მეტად თვალსაჩინო იყო. ოკუპაციის შემდეგ წლების განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი ყრილობა სოციალისტურ ინტერნაციონალისა, სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტურ პარტიებისა, თუ პროფესიონალური კავშირებისა, სადაც ქართველი სოციალისტები არ მისულიყვნენ, მოსკოვის იმპერიალისტური აქტი არ ემზილათ და ამ აქტის დაგმობა არ მოეთხოვათ. და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ეს ევრაგი აქტი ევროპის სოციალისტებს არ დაეგმოთ და საქართველოს ტერიტორიიდან რუსის ჯარების გაყვანა არ მოეთხოვათ.

ფარდა ეხდებოდა და შესაფერის პასუხს სცემდნენ აგრეთვე ჰანრი ბარბიუსის მზგავს ზოგ დაქირავებულ მწერლებს და მუშათა ბოლშევიზანურ დელეგაციებს, რომელნიც ბოლშევიკებს საქართველოში მიყავდათ და რომელთაც, უკან დაბრუნებისას, აქ ევროპაში მათი ენით ალაპარაკებდნენ.

მაგრამ დრო გავიდა, დრო კი თავისას შვრება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ევროპაში დიდ ამბებს და მოვლენებს ქონდა ადგილი. ევროპის სახელმწიფოებს მეტად გართულებულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება და მათ პატარა საქართველოს ბედი არ აინტერესებდათ. თან არ იქნა და ევროპიელებმა ვერ გაიგეს მოსკოვის მთავრობის იმპერი-ალისტური და აგრესიული ზრახვანი, და ხშირად სჯეროდათ მისი ცრუ დაპირებანი. ევროპა ბოლშევიკურ რუსეთთან ვაჭრობას, ნორმალურ კავშირს და დაახლოვებას ექებდა. ამით კი ის აგრესიულ და იმპერიალისტურ ქვეყანას ამაგრებდა.

საჭირო შეიქნა ბოლშევიკების ჩეხო-სლოვაკიის გზით ცენტრალურ ევროპაში შემოქრა, ან შემდეგ შორეულ აღმოსავლეთის ფრონტზე მოსკოვის წაქეზებით კორეიაში ომის გაჩაღება, რომ ევროპაში და ამერიკაში გონზე მოსულიყვნენ და საბჭოთა რუსეთის მიერ, დიდი მაშტაბით, აგრესიის მზადების ჩუმ ზრახვებზე სერიოზულად დაფიქრებულყვნენ. და მართლაც, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა — ტრუმანმა ისარგებლა თავისი უფლებებით და მისი წინადადებით და გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის თანხმობით მალე, სულ რაღაც 48 საათის განმავლობაში, კორეაში აგრესორებს სამხედრო მოქმედებით უპასუხეს და მათ მაგრადაც მიართვეს. ამას თან მოყვა თოთხმეტ სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის ჩრდილო ატლანტიკის პაქტის დადება



და ევროპული ჯარის შესაქმნელად ევროპის ექვსი ქვეყნის მზადება.

თუ წინეთ საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში გარედან არავინ ერეოდა, როცა თვითონ მოსკოვი კი მეხუთე კოლონების საშუალებით ყოველგან პროპაგანდას ეწეოდა და არევე-დარევეა შექმნდა, ესლა ამერიკა ბოლშევიკური რეჟიმის საწინააღმდეგოდ თვით საბჭოთა რუსეთში «ფსიქოლოგიური ომის» საწარმოებლად ბევრგვარ საშუალებებს მიმართავს.

ჯერ კიდევ 1951 წლის 26 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი—ჩანსონი რადიო-გადაცემის—«ამერიკის ხმა»-ს ქართული სექციის გახსნის გამო მიმართავდა ქართველებს, მოაგონებდა მათ ქართველ ერის წარსულში თავისუფლებისათვის წარმოებულ გმირულ ბრძოლებს და მოუწოდებდა «ამერიკის ხმა»-ს საშუალებით ქართველ ხალხისათვის ემხილათ ყველა ის ბოროტება, რასაც კომუნისტები მსოფლიოში ჩადიან და ეთქვათ მისთვის ჭეშმარიტება, რომელსაც მას დღეს უშალავენ.

ტრუმანის შემდეგ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ «ფსიქოლოგიური ომს» აწარმოებს ესლა ეიზენჰაერის ახალი მთავრობაც და ეს უკანასკნელი ცდილობს ამერიკული კომიტეტის საშუალებით დარაზმოს სხვადასხვა ეროვნებათა ემიგრანტული ორგანიზაციები ბოლშევიკური რეჟიმის დასაზღვრვად და შესაცვლელად.

ამ საერთო ანტიბოლშევიკურ ბრძოლაში ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას. ჩვენ ვებრძვით საბჭოთა მთავრობას და მის ბატონობას ქართველ ერზე, მაგრამ ჩვენ არაერთიარე ცუდი გრძნობები არ გვაქვს რუსის ერის მიმართ. წინააღმდეგ, დღეს ეს ერიც ჩვენსავით დაჩაგრულია ტერორისტული რეჟიმის მიერ. ამ მხრივ ჩვენი თანაგრძნობა მის მხარეზეა. რამდენად ანტიბოლშევიკურ ბრძოლაში რუსები მრავალრიცხოვანი იქნებიან, იმდენად ეს საერთო საქმისათვის სასარგებლოა. ტირანიულ რეჟიმის დასამხობათ რუსებმა თვითონ უნდა იზრუნონ და შესაფერისი მსხვერპლიც გაიღონ.

ჩვენ მომხრე ვართ ამ საერთო ბრძოლაში რუს ემიგრანტულ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ვითანამშრომლოთ, თუ ისინი ლოიალურად და შესაფერისი შემწყყარებლობით (avec tolérance) კი მოუპყრობიან მათ თანამებრძოლთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეალებს, სახეში მიიღებენ და ანგარიშს გაუწევენ სხვადასხვა ერების ეროვნულ ლტოლვას დამოუკიდებელ ცხოვრებისადმი, იცნობენ საქართველოს და ქართველი ერის თავისუფლების აღდგენას.

ჩვენ კავშირში უნდა ვიყოთ და საერთო ბრძოლა ვაწარმოვოთ აგრეთვე საბჭოთა რუსეთში მომწყვდეულ არა-რუს ერთა წარმომადგენლებთან. ეს კავშირი მით არის საჭირო და აუცილებელი, რომ ამ არარუს ერებთან ჩვენ გვაკავშირებს არა მხოლოდ რეჟიმის საკითხი, არამედ ამავე დროს

ეროვნულ-განმათავისუფლებელი საერთო ბრძოლა და იდეალები. სხვადასხვა ეროვნებათა ამ კავშირს, მიზნათ არ აქვს რუს ერისადმი სიძულვილი, ან მის წინააღმდეგ იარაღით გალაშქრება. ამ კავშირით, ამ საერთო ფრონტით უნდა შეიქმნეს ისეთი ძლიერი ძალა, რომელიც საბრძოლველად ახალისებდეს და ენთუზიაზმს გვრიდეს თვით ფრონტის მონაწილეთ, მეორეს მხრივ კი ამ მტკიცედ შეკავშირებულ ძალას სათანადო ანგარიშს უწყევდენ და შესაფერის დათმობებსაც უკეთებდენ მტერნი და მოწინააღმდეგენი.

განსაკუთრებულ მკვიდრ კავშირში ვიმყოფებით ჩვენ კავკასიელ მეზობლებთან: აზერბაიჯანელებთან, მთიელებთან და სომხებთან. ეს გასაგებია. ამ ერებთან ერთად ჩვენ წარმოვადგენთ ერთ გეოგრაფიულ ერთეულს. მათთან გვაქვს საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები და მათთან ერთად, ალბათ, შევექმნით მომავალში ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, რომლის პოლიტიკურ სტრუქტურას თვით ეს ერები გამოიმუშავენ ადგილობრივად ბოლშევიკური რეჟიმისაგან მათი განთავისუფლების შემდეგ.

კიდევ ერთი მთავარი საკითხი. ეს არის ჩვენი საკუთარი ეროვნული ფრონტის მთლიანობა და სხვა ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან ჩვენი დამოკიდებულება უცხოეთში. ამ მხრივ სახელმძღვანელოთ ჩვენ გვაქვს ერთი მეტად კარგი მაგალითი.

დღიდან ჩვენი სამშობლოს უცხო ჯარების მიერ ოკუპაციისა ქართული პოლიტიკური პარტიები ერთ ეროვნულ ფრონტში თანამშრომლობდენ, ყოველივე შინაურ დავას თავს ანებებდენ და საერთო ძალებით მტრის უღლიდან განთავისუფლებას ცდილობდენ. და თუ ასეთ თანამშრომლობას ქონდა ადგილი იქ. საქართველოში, მით უმეტეს, ასეთი რამ უნდა არსებობდეს აქ. საგარეო ფრონტზე მუშაობისას, უცხოეთში.

ამ მიზნით დაარსდა აქ ქართული ეროვნული საბჭო, რომლის მთავარი დანიშნულებაა იმუშავოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენათ, კერძოთ, ის მიზნათ ისახავს გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს უცხოეთში ქართველი ერის თავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ეროვნულ ძალებს და ორგანიზაციებს, რათა მეტის წარმატებით გასწიოს მან სათანადო პროპაგანდა ევროპის საზოგადოებრივ წრეებში.

ამ ქართულ ეროვნულ საბჭოს საქმიანობაში დიდ მონაწილეობას იღებს ჩვენი ეროვნული მთავრობა, რომელთანაც ჩვენ ვმუშაობთ ერთად და სოლიდარულად.

ამ ჩვენ ეროვნულ ფრონტში არ შემოდის და ჩვენ საერთო მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს ერთი ნაწილი ქართველ ემიგრანტ პოლიტიკურ მოღვაწეებისა. ისინი არ შემოდინან აგრეთვე არც კავკასიელების, თუ სხვა ჩაგრულ ერების

გაერთიანებაში. ეს მეტად სამწუხარო ამბავია და, იმედია, ასეთ დაქსაქსულობას მალე ბოლო მოეღება და ერთსულოვნად სამუშაოდ ყველანი საერთო კალაპოტში ჩადგებიან. დაბოლოს, ჩვენი მუშაობის ერთი მნიშვნელოვანი მხარე-ზემოთ ვამბობდით, რომ დრო გავიდა და დრო თავისას უვება.

ჩვენი უცხოელ სოციალისტ მეგობრებიდან, რომელნიც ქართულ საკითხს კარგად იცნობდნენ და ამ 35 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნისათვის დიდი სამსახური გაუწევიათ, ბევრნი ესლა ცოცხალი აღარ არიან. სოციალისტურ ინტერნაციონალში, თუ ევროპის სხვადასხვა სოციალისტურ პარტიებში უფრო ახალი თაობის ხალხი, ახალგაზდები გამოდიან მეთაურების როლში. ხოლო ეს ახალი ხალხი ქართულ საკითხს ნაკლებად, ან სულ არ იცნობს. საჭიროა სოციალისტურ წრეებში ყოველგან და ყველას ჩვენი საკითხი ხელახლად გავახსენოთ და გავაცნოთ და ყველა ისინი ჩვენ მეგობრებათ გაეიხადოთ.

ზემოდ აღნიშნულ ყველა სამოქმედო ფორტებზე მჭიდრო რიგებით უნდა დავიარაზოთ, მთელი ძალად მოვიკრიბოთ და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღსადგენათ დაუღალავი მუშაობა ვაწარმოვოთ. ასეთი იყო ჩვენი მუშაობის გეზი წინეთ, ასეთია ის დღესაც.

გ. კვარჯალაძე.

### საკოორდინაციო ცენტრი:

1952 წლის, 16 ოქტომბერს, მიუნხენში დაარსდა ანტი-ბოლშევიკური საკოორდინაციო ცენტრი. ამ ცენტრში, დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ, გაერთიანდა ოთხი რუსული ორგანიზაცია და ხუთი არა-რუსის ორგანიზაცია. ცენტრის პლენუმმა შექმნა თავის სახელმძღვანელო ბიურო, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ცენტრში შემავალ ერთ რუსულ ორგანიზაციის წარმომადგენელი—ბ. მელგუნოვი.

საკოორდინაციო ცენტრს საფუძვლათ დაედვა, ერთი მხრით, ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით—ეროვნული საკითხის მოწესრიგება თანახმათ ვისბადენის კონფერენციისა, სადაც მიღებულ იქნა შემდეგი ფორმულა: ყველა ერს აქვს უფლება თვითგამორკვევის, ხოლო ეს თვითგამორკვევა უნდა მოხდეს ან რეფერენდუმის, ან ეროვნული დამფუძნებელი კრებების, ან რუსეთის დამფუძნებელი კრების საშუალებით. ამ ფორმულას ხმა მისცა საკოორდინაციო ცენტრში შემავალმა ყველა დაჯგუფებებმა, მათ შორის, რასაკვირველია, რუსებმაც.

მაგრამ მუშაობის პროცესში, ცენტრის წევრი ზოგი რუსი წარმომადგენელი, და მათ შორის თვით თავმჯდომარე მელგუნოვი, შეეცადნენ ეროვნულ საკითხში მიღებული ფორ-

მულისათვის მიეცათ ისეთი განმარტება, რომელიც უკარგავდა მას ყოველგვარ მნიშვნელობას. მათ დაიწყეს დავა არა მიღებულ ფორმულის შინაარსის გამო, არამედ მასში გატარებულ პრინციპის რეალიზაციის შესახებ. მათი აზრით მიღებული დებულების რეალიზაცია უნდა მომხდარიყო მხოლოდ მის შემდეგ, როცა საბჭოთა რეჟიმი მოისპობოდა ს.ს.ს.რ. მთელ ტერიტორიაზე.

ასეთ ცალმხრივ და არასწორ განმარტებას ვერ მიიღებდენ, რასაკვირველია, ერების წარმომადგენელი და ამ ნიადაგზე დაწყებული დავა კი სრულ პარალიჩს უკეთებდა ცენტრის ყოველგვარ მუშაობას.

ამავე დროს ამ ცენტრის გარეშე დარჩა ისეთი გავლენიანი ორგანიზაციები, როგორც არის უკრაინის, ბელორუსების, სომხების (დაშნაკტუტუნი). ამათი ცენტრში შემოყვანა და მით ამ ცენტრის გავლენის და მუშაობის გაძლიერება აუცილებელი იყო. და აი, ქართული სექციის თაოსნობით, მოხდა აღნიშნული ორგანიზაციების შეხვედრა პირველათ კარლსრუეში, ხოლო მეორეთ პარიზში, სადაც შემუშავებული იქნა ზოგადათ საფუძვლები ისეთი ცენტრის შესაქმნელად, რომელიც საშვალებას მისცემდა მათ შემოსულიყვენ. ამ ნიადაგზე გაიმართა მოლაპარაკება ერთი მხრით ამერიკულ კომიტეტთან და მეორე მხრით არსებულ საკოორდინაციო ცენტრთან.

მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა 31 მაისს, ტეგერანზეში, საერთო კონფერენცია საკოორდინაციო ცენტრის და ვერედ წოდებული პარიზის ბლოკის. ორივე მხარის შეთანხმებით კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამერიკულ კომიტეტის ორი წარმომადგენელი ბ.ნი პეჩი და ბ.ნი ალექსანდერი.

კონფერენციაზე გაჩაღდა ხანგრძლივი და ცხარე კამათი, მარა დასრულდა საერთო სურვილით, რომ არჩეულიყო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა ყველასათვის მისაღებ სტატუსს მომავალი ცენტრისათვის. კომისია უნდა შემდგარიყო პარიზის ბლოკის და საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენელთაგან. და აი ამ კომისიის წევრების დასახელების დროს წამოიჭრა სერიოზული კონფლიქტი შიგ საკოორდინაციო ცენტრში. მელგუნოვ-კერენსკის ჯგუფი გადაპურით მოითხოვდა, რომ კომისია აერჩიათ მას შემდეგ, როცა მიიღებდენ ცენტრში იმ ჯგუფებს, რომლებიც ითხოვდენ შემოსვლას. ჯერ ამათი მიღება და მერე კომისიის წევრების არჩევა—ითხოვდენ დაჯინებით. აზრი ასეთი მოთხოვნისა იყო ის, რომ ყველა ეს ახალი ჯგუფები იყვენ მათი თანამოაზრენი. ცენტრის დანარჩენმა წევრებმა, როგორც რუსებმა, ისე არარუსებმა, სასტიკად გაილაშქრეს ასეთი შეუფერებელი წინადადების წინააღმდეგ და ის უარჰკვეს. საპასუხოთ მელგუნოვ-კერენსკიმ კრება დასტოვეს. დავაში ჩაერთა ამერიკულ კომი-

ტეტის წარმომადგენლები და აუხსნეს წასულებს, რომ დაბრუნებულიყვენ და საერთო მუშაობაში მონაწილეობა მიეღოთ. ამის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ, უარი სთქვეს თავის მოთხოვნილებაზე და მონაწილეობაც მიიღეს კომისიის წევრების არჩევნებში საერთო წესით. ამ კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ევ. გეგეჭკორი. ამ რიგად, პირველი ცდა განხეთქილებისა აშორებული იქნა, მაგრამ მან დიდი გავლენა იქონია თვით კომისიის მუშაობაზე.

ამ კომისიას მეღგუნოვ-კერენსკის ჯგუფმა წარუდგინა ორი მოთხოვნილება წინასწარ მისაღებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ამბობდა კომისიაში მონაწილეობის გაგრძელებაზე. ეს მოთხოვნილება იყო: 1. ერთა თვითგამორკვევა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა კომუნისტური რეჟიმი დაიშლება ს.ს.ს.რ-ის მთელ ტერიტორიაზე. 2. საკოორდინაციო ცენტრში შემოსვლის უფლება აქვს ერების ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობას, მიუხედავად იმისა სდგას ის დამოუკიდებლობის, თუ ფედერაციის ნიადაგზე.

კომისიას არ შეეძლო, რასაკვირველია, მიეცა გადაჭრილი პასუხი ამ მოთხოვნილებაზე, მარა მათ არც კი დაუცადეს რაიმე პასუხს და გავიდნენ კომისიიდან.

ამის შემდეგ შეიკრიბენ ცალკე, გამოაცხადეს თავისთავი საკოორდინაციო ცენტრათ, მიიღეს ვილაც ვიგინდარები სხვადასხვა ეროვნებებიდან, მათ შორის ქართველებიდან ვილაც ვეფხვაძე-ავალიანი, ცენტრის დანარჩენი წევრები გამოაცხადეს ცენტრდან გასულათ და მიმართეს ამერიკულ კომიტეტს ეცნოთ ისინი ნამდვილ საკოორდინაციო ცენტრათ, რაზედაც, რასაკვირველია, ცივი უარი მიიღეს.

კომისიამ, რომლის მუშაობაში დიდი მონაწილეობა მიიღო საკოორდინაციო ცენტრის ორმა წევრმა რუს. ორგანიზაციამ, ბ. ნიკოლაევსკიმ და სბონრმა, დაასრულა თავის მუშაობა, შეიმუშავა ძირითადი დებულებანი მომავალი ცენტრის ორგანიზაციისა, აირჩია დროებითი ბიურო ხუთი წევრისაგან ევ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით და საგანგებო მემორანდუმით აცნობა ყოველივე ეს ამერიკულ კომიტეტს.

19 ივლისს, ახალმა ბიურომ მოიწვია პრესის წარმომადგენლები, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ყველა ქვეყნის დიდი გაზეთების თანამშრომლებმა, რომელთაც კომისიის თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორმა ბ.ბ. ნიკოლაევსკის (რუს. ორგანიზაცია) და ბ. ლევიცკის (უკრაინის ორგანიზაცია) მონაწილეობით განუცხადა, რომ ორი რუსის და ყველა არარუს ორგანიზაციები შეთანხმდნენ შექმნან საკოორდინაციო ცენტრი ახალ საფუძველზე.

10 ივლისს შესდგა არსებული საკოორდინაციო ცენტრის პლენუმის სასწრაფო სხდომა. მასში შემავალ ცხრა ორგანიზაციებიდან, მიუხედავად მოწვევისა, კერენსკი მეღგუნოვის ჯგუფი და სომხები არ მოვიდნენ. დანარჩენმა ექვსი

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოახდინეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, როგორც საბჭოთა რუსეთში, ისე ემიგრაციაში, შექმნილ მდგომარეობაზე, აღიარეს თავის სხდომა კანონიერად და სრულყოფილად და მიიღეს მთელი რიგი დადგენილებებისა თავის მუშაობის აქტივობის გასაძლიერებლად.

ამავე დროს ცენტრის ბიურომ აირჩია მეღვინის ნაცვლათ—თავმჯდომარეთ კრილოვი (სბონრი), მის ამხანაგათ ტურკელის წარმომადგენელი—ბერდიმურატი და მდივანთ—ხოდაროვი (სკანას წარმომადგენელი).

საკოორდინაციო ცენტრის ბიუროს ეს ახალი პრეზიდენტი უკვე შეუდგა მოლაპარაკებას კომისიის დროებით ბიუროს თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორთან, საერთო ცენტრის შესადგენათ.

გწ. ურატაძე.

### საქართველოს უზღუბის დაცვისთვის.

ძველი რევოლუციონერები იტყოდნ ხოლმე: «ვერავინ მოგვეცემს თავისუფლებას. ვერც ღმერთი, ვერც მეფე და ვერც გმირი; თავისუფლებას ჩვენ საკუთარ ძალით მოვიპოვებთ». ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ ერს ვისგანმე ძღვენათ მიეღოს თავისუფლება. თავისუფლება ბრძოლის შედეგია. თავისუფლებისთვის მებრძოლს ყველა—გარდა ჯალათებისა—თანაუგრძობს, მორალურათ ამხნევებს და ამაგრებს; იმიტომ, რომ ბრძოლა თავისუფლებისთვის ადამიანის უკეთილშობილეს გრძობების გამომხატველია, იგი ადამიანის დამამშვენებელია და საზოგადოების ცხოვრების ამამაღლებელი.

ხოლო ერის განმათავისუფლებელ ბრძოლამ სხვების თანაგრძობა რომ მოიპოვოს, ამისთვის საჭიროა ეს ბრძოლა მართლა არსებობდე, ნამდვილი ამბავი იყოს იგი და არა ფანტაზია.

ქართველი ერის ბრძოლამ თავისუფლებისთვის მთელი განათლებული კაცობრიობის სიმპატია და ყურადღება იმიტომ მიიპყრო, რომ ეს ბრძოლა ფაქტია, იგი ყველამ დაინახა და დაიკერა, რადგან საქართველოს მრავალ საუკუნიანი ისტორიაც ამას მოწმობდა: ქართველი ერის სიყვარულს თავისუფლებისას და თავდადებულ ბრძოლას იმის მოსაპოვებლათ. შეიძლება ამ საერთაშორისო თანაგრძობაში ხანდახან ჩაქსოვილი იყოს ერთგვარი ანგარიშიც, რომ საქართველოს მაგალითზე სხვებზე თავის ხალხისთვის ეჩვენებიათ სიძლიერე სამშობლოს სიყვარულისა და ამისთვის პატარა ერის თავგანწირული ბრძოლა ვეშაპის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი იყო და არის ის თანაგრძობა.

ბა, ის პროპაგანდა, ის მორალური გამაგრება, ყველამ და მსოფლიოს ყველა კუთხეში ჩვენს საკითხს რომ გაუწია. ამ თანაგრძნობის მატარებელი უმთავრესად დემოკრატია იყო. და რადგან დემოკრატიის შეხედულებით ქართველი ერის უფლებათა აღდგენა უნდა მომხდარიყო საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მის სასარგებლოთ ამუშავებით, საქართველოს მიერ მოპოებულ იურიდიულ მდგომარეობის ნიადაგზე, და არა მოძალადეთა წინააღმდეგ ტლანქი ძალისხვე დაპირდაპირებით, დემოკრატიის ამ ცდამ ჩვენს სასარგებლოთ ნაყოფი ვერ გამოიღო.

შეიძლება აქ მეტიც ითქვას: ჩვენს შეხედულებას ამ საგანზე, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა მოთვინიერება და მათი დაჯერება სიტყვებით და რეზოლიუციებით უიმედო საქმე იყო, ხშირად გვიწუნებდნენ, და გვიწუნებდნენ ზოგჯერ ჩვენი იდეური მეგობრებიც. ასეთი იყო, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღება ყოველივე და ყველასათვის სავალდებულო პირობების გარეშე.

თურმე საჭირო იყო დრო და უფრო დიდი გარემოება, ვინემ პატარა საქართველოს ოკუპაცია, ჩვენი შეხედულების გასამართლებლათ. კრემლის საქციელმა, ჯერ პიტლევის საშვალებით მთელი ევროპის დამხობა რომ მოინდომა და შემდეგ სხვა გზით და სხვანაირ ხერხით მთელ აღმოსავლეთის ევროპას, ჩინეთს და აზიის სხვა მრავალ კუთხეს თავზე რომ დააჯდა, მთელი ქვეყანა შეანძრია. ამ დიდმა ამბებმა ყველა გამაფიზნლა, მთელი განათლებული კაცობრიობა ფეხზე დააყენა და იგი შეაიარაღა, რათა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას საზღვარი დაუდგენ, თუნდაც ხმლით ხელში, თუ ეს აუცილებელი შეიქმნა. ამ საქმეს ახლა იგივე დემოკრატია უდგას სათავეში, ხოლო წარსულიდან გამოტანილ გამოცდილებით აღუურვილი.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვისმე ომი უნდოდეს. ომის ყველას ეშინია და უპირველეს ყოვლისა იმის ჩვენ უნდა გვეშინოდეს, რადგან თანამედროვე ომის ასპარეზით ჩვენი ქვეყანა რომ გადაიქცეს, იგი საბოლოო განადგურდება. მერე ვინ იცის, რას გამოჩეკს კიდევ ერთი მსოფლიო ომი? დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ახლაც ისე, როგორც ორ წინანდელ მსოფლიო ომში (1918 და 1945 წ.წ.), ომის ასპარეზზე დემოკრატია გაიმარჯვებს; მაგრამ არც ის უნდა გვაიწყებოდეს, რომ 1918 წლის გამარჯვებას მაინც ბოლშევიზმის საშინელება მოყვა და 1945 წლისას იმისი გაძლიერება მთელ მსოფლიოში. ომი ყოველგვარ ღირებულების გამანადგურებელია, როგორც ნივთიერის, ისე მორალურის. ამიტომ განათლებული კაცობრიობა იმის თავიდან აცილებას ცდილობს, და სრულიად სამართლიანათ. დემოკრატია კვლავ ადამიანის და ერის უფლებების მშვიდობიანი გზით აღდგენის და დაცვის ნიადაგზე დგას, რამდენათ ეს მისთვის მოსახერხებელია.

ბედნიერება ის იქნება, რომ სადავო საკითხები მშვიდობიანათ გადაწყდეს: უფლების ნიადაგზე. ჩვენთვის და ჩვენსავით პატარა ერებისთვის უფლება საუკეთესო იარაღია. აქ ჩვენი ისე, როგორც სხვა ერებსაც, დღეს საბჭოთა კავშირში ძალით მოქცეულთ, ჩვენი სიტყვა გვაქვს საბჭოელი: სურთ დიდ სახელმწიფოებს დამაყოფილდენ საბჭოთა კავშირის «თავის საზღვრებში» ჩაკეტვით,—და ამ საზღვრებში გულისხმობენ ტერიტორიას, რომელში იგი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდის იმყოფებოდა,—და აქ მას მაგარი სალტე შემოართყან, რათა დასავლეთს მან ველარ ავნოს; თუ სურთ, რომ დედამიწის ამ კუთხეშიც ისეთი პირობები დამყარდეს საზოგადოთ, რომ შესაძლებელი გახდეს ამ კუთხის უმდიდრეს მწარმოებელ ძალთა გამოყენება, მათი ამუშავება, მათი დანარჩენ ქვეყნებთან თავისუფლათ გადაბმასავით სააღმშენებლო დანიშნულებით და მისი მსოფლიო ცივილიზაციასთან დაკავშირება საერთო კეთილდღეობისთვის?

შეიძლება პირველი გადაწყვეტილება უფრო ადვილი მისაღები იყოს, მაგრამ ეს იქნება საქმის ისე დაბოლოება, რომ იგი თავიდან დასაწყები იქნება: ამბობდენ ხომ ერთ დროს «უნდა ვიჯავროთ საბჭოებთან, ვაპრობა კანიბალებთანაც კი შესაძლებელი არის»-ო! ასე ეგონათ, რომ ის, რაც რუსეთში ხდებოდა, რუსეთში ლოკალიზაციით გათავდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა, ბოლშევიზმი გაძლიერდა, გაიზარდა და დღეს იგი, როგორც ანგარიშობენ 800 მილიონ მცხოვრებს წინამძღოლობს.

თუ არ სურთ განმეორება იმის, რაც მოხდა—და, რასაკვირველია, მსურველი ამის არაგინ არის—საერთაშორისო არეოპაგმა უნდა მოსთხოვოს კომუნისტებს ან მათ, ვინც მათი მემკვიდრე იქნება, დაცვა საერთაშორისოთ მიღებულ პირობების და საჯაროთ ცნობილ ხელშეკრულებების. ამ ნიადაგზე შესაძლებელი იქნება მოწესრიგება ნაციონალური საკითხის, ყველა საკითხებზე უფრო მტკივნეულის მრავალეროიან სახელმწიფოში, როგორიც დარჩა დღემდის საბჭოთა კავშირი.

ნაციონალური საკითხის მშვიდობიანათ მოწესრიგებაში თვით რუსის ხალხი უნდა იყოს დაინტერესებული, რათა 35 წლის განმავლობაში ტანჯული და განადგურებული, შეუდგეს იგი საკუთარ ცხოვრების თავისუფლათ მოწყობას და თავის საკუთარ, დიდ ეკონომიურ სავალდებათა რიგინათ გამოყენებას. ეს მოხერხდება მაშინ, თუ იგი მეგობრულ განწყობილებაში დარჩება მისი ბატონობიდან განთავისუფლებულ არა-რუს ერებთან და არა მუდმივ ბრძოლაში მათთან.

ახლა, როცა სახელმწიფოთა შორის არსებულ საზღვრების ნებაყოფლობით და შეთანხმებით მოშლანე ფიქრობენ ევროპაში და ყველა ერი თავისუფლათ მოქმედებას ეჩვევა, დღევანდელ საბჭოთა კავშირში ძალით ჩაკეტვა თავისუფლე-



30265



ბის მოტრფიალე ერების და მათი სახელით სხვების დალადი ძალიან ძნელი საქმეა, საქმე მუდამ-ჟამს დაუსაბუთებელი და მუდამ ბრძოლების და ამბოხების გამომწვევი.

მრავალ საკითხის სირთულის გამო საბჭოთა კავშირის მომავალთან დაკავშირებით, დიდ კაცებს და დიდ დიპლომატებს შეიძლება ბევრი რამე გამორჩეს, ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი; ან შეიძლება ისინი ვერც ვერკვევოდენ კარგად ყველა საკითხებში. ასე, როცა ისინი საბჭოთა კავშირის უღლიდან ერების განთავისუფლების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ და კონკრეტულად უფრო ხშირად აღმოსავლეთ ევროპის ერების განთავისუფლებას ასახელებენ, ჩვენ გვებადება საკითხი: აღმოსავლეთ ევროპის ერებს იმისთვის ხომ არ ანცალკევებენ, რომ მათი მდგომარეობა დამოუკიდებლად არსებობისთვის უფრო გარკვეულად მიაჩნიათ, ვინემ სხვების?

დიპლომატებს ერთხელაც დაუდგა გადასაწყვეტათ საკითხი: კავკასია და კერძოდ საქართველო აზიაში იმყოფება თუ ევროპაში (ეს იყო მოკავშირეთა კონფერენციაზე Cannes-ში 1922 წ.). იმის მაგიერ, რომ მართლ გეოგრაფიას არ დაყრდნობოდენ და სხვა მოტივებითაც ეხელმძღვანელათ, ერთი დიდი ქვეყნის წარმომადგენლის წინადადებით, დიპლომატებმა დაადგინეს: საქართველო აზიაში იმყოფება, და ამიტომ იგი მისთვის ფრიად საინტერესო კონფერენციაზე (გენუაში) არ დაუშვეს (დიპლომატების «გეოგრაფიას» არ დაეთანხმა, სხვათა შორის, ისეთი განათლებული სახელმწიფო მოღვაწე, როგორც არის ბ-ნი ედუარდ ჰერრიო, და თავისი შეხედულება საფრანგეთის პარლამენტში საჯაროდ განაცხადა). ნუ თუ ახლაც იმას ფიქრობენ, რომ «გეოგრაფიამ» უნდა გადასწყვიტოს ერთა თავისუფლების საკითხი და არა მათმა უფლებებმა მდგომარეობამ და მათმა გადაწყვეტილებამ თავის-თავს თვითონ უპატრონონ, დედამიწის რომელ კუთხეშიც უნდა ბინადრობდენ.

მერე, რომელი «გეოგრაფი» იქნება ახლა ის და იმის გადაწყვეტი, თუ სად იმყოფება საქართველო: აღმოსავლეთ ევროპაში თუ აზიაში?

თუ საბჭოთა კავშირის დღევანდელ ტერიტორიაზე და იმის გავლენის ქვეშ კი არსებობს ერი, ღირსი თავისუფლად არსებობის, ამთავან პირველ რიგში დგას საქართველოც: მისი წარსულის, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლის, მისი საერთაშორისო და უფლებებრივი მდგომარეობის და განათლებულ კაცობრიობის საზოგადოებრივი აზრის მისდამი დამოკიდებულების მიხედვით. ჩვენი დანიშნულებაა—ახლანდელ საერთაშორისო საქმეთა და გარემოებათა სირთულეში—საქართველოს საკითხში გავარკვიოთ ყველა, ვინც მოწოდებული იქნება ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს ბრძოლაში თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლათ არსებობისთვის ჩვენი ქვეყნის იურიდიულ მდგომარეობას, ე. ი. ჩვენი ხალხის მიერ მოპოებულს ფორმალურ უფლებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობისთვის, ზოგიერთ პირობებში შეუძლია ისეთივე გადამწყვეტი როლი ითამაშოს, როგორც ამის დროს ბრძოლის ველზე გამოტანილს მტრისთვის მოულოდნელ იარაღს.

Caveant Consules!..

უფლება დიდი იარაღია და ეს იარაღი ქართველ ერს ბრძოლით აქვს მოპოებული. ამისთვის საქართველოს კანონიერ უფლების სადარაჯოზე ყოველგან და ყოველთვის ჩვენ ფხიზლათ უნდა ვიდგეთ.

ბ. ბ.

### მუშათა აჯანყება აღმ. გერმანიაში.

უკანასკნელად მოსკოვი დაპირებებით კვებავდა გერმანიის ხალხს: საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქება, ჩამორთმეულ მიწების გლეხ-კაცობისთვის უკან დაბრუნება. სასურსათო კრიზისის შემსუბუქება, გერმანიის გაერთიანება, თავისუფალი არჩევნები და სხვ. თითოეული ამ დაპირებათაგანია ვითარცა სათამაშო კოზირი მოსკოვის ხელში, რათა ადგილობრივი მცხოვრებნი მიაძინოს, გერმანია თავისუფალ ქვეყნებს ჩამოაშოროს, მის ნეიტრალიზაციას მიადწიოს და შემდეგ მის გაერთიანებულ სხეულზე თავისი გავლენა გაავრცელოს... ამ განზრახვათა განცხრილვა არც ისე ძნელი გამოდგა გერმანიის მუშათა კლასისთვის, როგორც ეს მოსკოვს ჰქონდა წარმოდგენილი. ეკონომიურმა გაჩანაგებამ, სილატაკემ, საოკუპაციო ხელისუფლებისგან ყოველდღიურ პოლიტიკურ და სოციალურ შევიწროვებამ მოთბინებიდან გამოიყვანა ფართე მასსები და 17 ივნისს ქუჩებსა და მოედნებს მოედო ტალღა დემონსტრატებისა. მწყობრად დაწყობილი მუშათა რიგები კომუნისტურ ხელისუფლების შენობას გარს შემოერთყა და მოთხოვნილებები წაუყენა. მათ წინაშე გამოსული მინისტრი ზელმანი ცდილობს მათ დაწყნარებას: «მეც მუშა ვარ»—ეუბნება ის ხალხს. მას უპასუხებენ: «შენ და გაციწყდა, რომ მუშა იყავი». «ქვის მტეხელთა მუშების მოთხოვნილება შეიძლება სამართლიანათ ჩავთვალოთ» განაცხადობს მინისტრი. ამ დროს სახელდახელოთ აღმართულ ტრიბუნაზე ასული მუშა მას უპასუხებს: «ჩვენ ამისთვის არ მოვსულვართ, ჩვენ გვინდა, თავისუფალი არჩევნები, ჩვენ გვსურს ვიყოთ თავისუფალი, ჩვენი დემონსტრაცია მარტო არაა შრომის ნორმების შემსუბუქებისთვის გამოწვეული ჩვენ მარტო ერთი ქარხნიდან არ ვართ მოსული, ჩვენ წარმოვადგენთ მთელს ბერლინს, მთელს გერმანიას. ესაა სახალხო აჯანყება»..

ვაშას ძახილი ცას წვდება, «გადადექით, მოახდინეთ თავისუფალი არჩევნები». ისმის მრავალ ათეულ ათასების ხმა... გოტვალის ვერ ბედავს შენობიდან გამოსვლას. ღამდება. აღევდება ედება ყველა უბნებს. კომუნისტური ხელისუფლება მთელი ღამე ბუბს, თათბირობს, იმუშავებს გეგმას აჯანყების ჩასაქრობათ. მეორე დღეს ხდება შეტაკება ადგილობრივ პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის. ბევრ ადგილას პოლიცია ერიდება პირდაპირ შეტაკებას. სამაგიეროთ აქტიობას იწყებენ რუსის ტანკები. პირველი ცნობით მოკლულია 16 და დაჭრილია რამოდენიმე ასეული მუშა. მრავალ დაწესებულებიდან, საწყობებიდან გამოაქვთ გოტვალის, სტალინის სურათები და ფეხქვეშ სთელავენ.

ბრანდერბურგის კარებზე ადის ორი მუშა, ჩამოგლეჯენ კომუნისტურ დროშას, რომელსაც ხალხი ნაკუწ-ნაკუწად აქცევს... პირველ საათზე ცხადდება საალყო წესები.

დემონსტრაცია კლებულობს. მოშორებით გაისმის ძველი სოციალისტური სიმღერა: «ძმებო გავსწიოთ წინ ერთად თავისუფლებისკენ»...

მძლავრი სახალხო გამოსვლები ხდება აგრეთვე ლეიპციგში, ერფრუტში, დრეზდენში, ვალეში, იენაში, მაგდებურგში, სადაც ხალხმა აიღო ციხე და გაანთავისუფლა პოლიტიკური ტუსაღები. ყველა ამ ადგილებში მოსკოვმა სისხლში ჩაახრჩო სახალხო გამოსვლები. კომუნისტურ პარტიამ, რომელსაც თავი მოაქვს მუშათა ინტერესების დამცველად, მუშათა მოთხოვნილებას ტყვიით უპასუხა. მუშათა სისხლმა შეღება აჯანყებულ ქალაქების ქუჩები. გერმანიის მუშათა კლასმა სასტიკი პასუხი გასცა მოსკოვს, მის ადგილობრივ წარმომადგენლობას, კომუნისტურ პარტიას, და მთელს ქვეყნიერებას ამცნო გარდაუვალი სურვილი რკინის საღტების დაწყებისა და თავისუფლების დაბრუნებისა.

ომისგან დაქანცულმა ხალხმა, მეორეთ მონობაში ჩავარდნილმა ძალა მოიკრიფა, ენერგია შეკუმშა, ნებისყოფა გააკაჟა და თავისუფლების დროშის აფრიალებით, იმედის გრივალნი გადაისროლა იმ ერებშიც, რომლებიც საბჭოთა მუხრუჭებში გმინავენ და თავისუფლებისკენ მიისწრაფვიან... მათ ამცნო, რომ ისინი მარტო არ არიან. ევროპის შუაგულში შემოჭრილ ვერაგი ტირანიის წინააღმდეგ ირახმება სხვა ქვეყნის ძალებიც...

მუშის პასუხი, რომ ეს არის აჯანყება და არა უბრალო მოძრაობა შრომის ნორმის შესაცვლელად, არის ამონახეტი მთელი ერის გულიდან, მისი თავისუფლების სუნთქვის მოთხოვნილებიდან, მისი სასიცოცხლო ინტერესებიდან. გერმანიის მუშათა კლასმა თავისუფლებისადმი მიწრაფება სააშკარაოზე გამოიტანა, მსხვერპლს არ დაერიდა და მტერ და მოყვარეს ამცნო, რომ მას სურს გადაიძროს აღმოსავლეთიდან შემოტანილი ტირანია და თვით განაგოს თავისი ბედი...

ა. ბადრიძე.

## წიგრილი ბერლინიღბან.

(დასავლეთის სექტორი)

ძვირფასო ამხანაგებო! ვიჩქარი მოკლეთ მაინც გადმოგ-  
ცეთ აღმოსავლეთ ბერლინიში მომხდარი ამბები, რომლის შე-  
სახებზე თქვენ ესლა უკვე გეცოდინებათ რადიოს საშუალებით.

დილით ადრე გავეშურე იმ ადგილების დასათვალიერე-  
ბლათ, სადაც გუშინ ასეთი დიდი ამბები დატრიალდა. მთე-  
ლი უბანი აოხრებულია და უდაბნოს შთაბეჭდილებას ახდენს.  
პირველი დემონსტრაცია დაიწყო ოთხშაბათს, დილის შვიდ  
საათზე. დემონსტრაცია დაიწყო საამშენებლო მუშების სინ-  
დიკატმა. ისინი ითხოვდნენ—შრომის ნორმის შემცირებას,  
სურსათ სანოვანებზე ფასების დაკლებას, ხელ-ფასის გადიდე-  
ბას, მთავრობის გადადგომას და თავისუფალ არჩევნებს. მათი  
რიცხვი დასაწყისში რამდენიმე ასეულს არ სცილდებოდა.  
მუშები სამუშაო ტანსაცმელებში გამოწყობილი, სტალინის  
პეივიანიდან, გაემართნენ აღმოსავლეთ ზონის მთავრობის შე-  
ნობისაკენ (გერინგის ყოფილი საპაერო სამინისტრო).

მალე დემონსტრანტებს შეუერთდნენ სხვადასხვა ქარხნე-  
ბის მუშები და რკინისგზის სარემონტო სახელოსნოები. ულ-  
ბრიხტის სტადიონზე შესდგა დიდი მიტინგი. სტადიონზე ჩა-  
მოგლიჯეს ულბრიხტის დიდი სურათი და წააქციეს სტალი-  
ნის ძეგლი. დღის განმავლობაში დემონსტრანტთა რიცხვი  
თანდათან გაიზარდა და საშიშარი ხასიათი მიიღო. ყველა  
დიდ ქუჩებზე, საბუთა საელჩოს, აღმოსავლეთ ბერლინის  
თვითმართველობის წინ და აგრეთვე დასავლეთ სექტორში  
გადმოსასვლელებთან ხდებოდა შეუწყვეტელი შეტაკება «სა-  
ხალხო პოლიციის» ნაწილებთან. თხრიდნენ და წვავდნენ ნიშ-  
ნებს, რომელზედაც აღნიშნული იყო სექტორები, დასწვეს სა-  
პოლიცია «პოსტები» და სედ—ეს ყველა პარტიული ემბლე-  
მები. მოთხარეს საზღვრის ბოძები, დასწვეს გაზეთების გასა-  
ყიდი პატარა სახლები და გაზეთები მიფანტ-მოფანტეს. ის-  
მოდა შეუწყვეტელი გრიალი—ძირს ულბრიხტის გერმანია,  
ძირს ესდეს მთავრობა, გაუმარჯოს თავისუფალ გერმანიას,  
ჩვენ გვინდა ვიყოთ თავისუფალი ადამიანები და მოუწოდებ-  
დენ დასავლეთის ქუჩებზე მდგომთ—დასავლეთლებო! მოდიეთ  
ჩვენთან, შემოგვიერთდით, ერთად ვიბრძოლოთ გავერთიან-  
დეთო. ხალხი ვაშას ძახილით და მხურვალე ტაშით უპასუ-  
ხებდა. საბუთების პროპაგანდისტები შეეცადნენ ხალხის დამ-  
შვიდებას, მაგრამ უშედეგოთ, მათ ყურს არავინ უგდებდა,  
არც ლაპარაკის საშუალებას აძლევდნენ, ტრიბუნიდან აგდებ-  
დნენ. გამყოფ ხაზთან დასავლეთის მხრით ჩამწყვირდა დასავ-  
ლეთის პოლიცია და სანიტარული მანქანები. რამდენიმე ხნის

შემდეგ ლაიპციგის ქუჩის ბოლოში გამოჩნდა რამდენიმე ტანკი რუსების ჯარებით. ხალხმა დასავლეთის სექტორისაკენ იბრუნა პირი და ტანკებს ქვები დაუშინა, რაც ასე ბევრია მოედანზე. შუა ქუჩაში გადმოიტანეს რალაც «ბუტკა» და ცეცხლი წაუკიდეს, რომ ტანკებისათვის გზა აერიათ, საბჭოთა სექტორიდან გამოჩნდნენ რუსის ჯარისკაცები და მოედანს მარჯვნიდან ჩაუდგნენ. დაიწყო ტანკებიდან და თოფებიდან სროლა. ჩემს ახლო დაიჭრა სამი კაცი, რომლებიც სასწრაფოთ სანიტრებმა დასავლეთის საავამთმყოფლოში წაიყვანეს. ერთი პოლიციელი და ერთი პარტიული ნიშნით, გადმოათრეეს დასავლეთის მხარეზე და სცემეს, სანამ დასავლეთის პოლიცია არ მიეშველა. საქმე გართულდა. ხალხი ორივე მხრივ მეტის-მეტათ ღელავდა, ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო დიდი შეტაკება. დასავლეთის პოლიციამ ჩვენი მხრით ქუჩები შეკრა და ხალხისგან გასწმინდა, ზოგი იქით გადავრჩით და როცა გადმოსვლა მოვინდომეთ—პოლიციამ აღარ გადმოგვიშვა და ძლივს შევსძელით სხვა ადგილას გამოძრომა.

სალამოს საბარგო ავტომობილებით მოვიდა დამატებით რუსის ჯარების ნაწილები, გამოცხადდა სამხედრო წესები, გადააყენეს «სახალხო პოლიციის» უფროსები, ხოლო თვით პოლიცია რუსის ჯარების სამხედრო უფროს დაუმორჩილეს. გვიან სალამოს აღმოსავლეთის სექტორი საცხებით მოსწყვეტეს დასავლეთს. დაიწყო მასიური დაპატიმრება. მთავრობის შენობაში შეადგინეს სამხედრო ტრიბუნალი, რომლის «დადგენილებით» ღამის განმავლობაში შეუწყვეტელი ხვრეტა ხდებოდა. საბჭოთა სექტორის ყველა ადგილებიდან მოდის ცნობები, რომ მუშები ყველგან მიემხრენ დემონსტრანტებს და გაიზიარეს მათი მოთხოვნილებანი და რომ ხდება ყველგან შეტაკება «სახალხო პოლიციასთან» და რუსის ჯარებთან.

დემონსტრანტების წინააღმდეგ მიღებულმა სასტიკმა ზომებმა საერთო მღელვარება გამოიწვია მთელ დასავლეთ სექტორში, დაიწყო საპროტესტო მოძრაობა.

გაცნობებთ შედეგებს...

დ—კო.

## რა მოხდა აღმოსავლეთ გერმანიაში.

მოგვყავს უცხოეთის გაზეთებიდან ის ცნობები, რომელიც შეეხება აღმოსავლეთ გერმანიაში (საბჭოთა ზონა) ივნისში მომხდარ აჯანყებას.

ბრანდენბურგი. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 20.000 კაცზე მეტმა. აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს სასამართლოს და ციხის შენობაზე, გაანთავისუფლეს პოლიტიკური ტუსალები. ფოლადის ჩამომსხმელ მუშებმა და რკინისგზელე-

ბმა შეკრეს ადგილობრივი პროკურორი, რომელსაც ხალხი «ბრანდენბურგის ჯალათს» ეძახდა, ატარეს ქუჩებზე და აღფრთოვანებული ხალხის ყვირილში—ჩაადგეს მდინარეში. დასწვეს პარტიის საოლქო კომიტეტის შენობა.

მაკეფებურგი. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 30.000 კაცი ტელმანის სახელობის ქარხნის მუშების მეთაურობით. აიღეს ციხე და გაანთავისუფლეს 150 პოლიტიკური ტუსალი. დასწვეს პარტიის ყველა შენობა.

სემნიცი. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა მრავალი ათასი მუშა. ციხიდან გაანთავისუფლეს 200 პოლიტიკური ტუსალი.

ლეიპციგი. აჯანყდა 40.000 კაცი. იერიშით აიღეს რადიოსადგური, პოლიციის სამმართველო და ციხე. გაანადგურეს პარტიის ადგილობრივი კომიტეტები.

იენა. ცეისოვის, შოტის და რაეის ქარხნების მუშებმა გაანთავისუფლეს პოლიტ. ტუსალები, რომელთა შორის აღმოჩნდა 17 წლის ქალიშვილი ხელ ფეხ შეკრული. გაანადგურეს პარტიის და პოლიციის შენობები. მოხდა შეტაკება პოლიციასთან.

ერფრუტი. 10.000 აჯანყებულებმა გაანადგურეს პოლიციის შენობა, ჩამოახრჩვეს ორი პოლიციელი, რომლებმაც ხალხს თოფი ესროლეს.

დრესდენი. მოხდა დიდი შეტაკება აჯანყებულებსა და პოლიციას შორის. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა შეიხიზნა რუსების კაზარმაში.

მერსებურგი. «ლეინა»-ს ქარხნის 20.000 მუშამ იარაღი აყარა პოლიციას. გაანთავისუფლა დაჭერილები, მათ შორის 12—14 წლიანი ბავშვები. დასწვეს გერმანიის უდიდესი ქიმიური ქარხნები «ლეინა» და «ბუნა».

ბიტერფელდი. «საგ-აგფა-ვოლფენ»-ის 8 ათასმა მუშამ მოითხოვა თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ქარხნის დირექტორი დათანხმდა ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, გარდა ერთისა—პარტიის წევრების დათხოვისა. მუშებმა ამაზე უპასუხეს აჯანყებით, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო 40.000 კაცმა. განადგურებულია პოლიციის შენობა. გაანთავისუფლეს ციხეებიდან დაჭერილები, რომელთა ნაწილი კამერაში მუხლამდე წყალში იყლა.

აუვი. გაიფიცენ და აჯანყდნ 100.000 მუშა ურანის ქარხნებისა 12 მუშის დახვრეტის გამო. გაანთავისუფლეს ციხეებიდან 2000 პოლიტიკური ტუსალი, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ საკატორლო მუშაობა დიდი ვადით. დახოცეს მცველები და იძულებითი შრომის ზედამხედველები.

რეტენაი. აჯანყებულებმა მოკლეს გერმანელ მვდ-ს უფროსი პაგეგორნი.

სავიკაი. «ნაციონალური არმიის» 85 ჯარისკაცი მიემხრო აჯანყებულებს.

გორლიტმე. აჯანყებულებმა აიძულეს ბურგომისტრი თავის ხელით დაენია სტალინის პორტრეტი.

აჯანყება და გაფიცვები იყო აგრეთვე შემდეგ ქალაქებში: ვალში, ვეიშარში, ვერნიგეროდში, იუტერბოგში, გერეში, კამბურგში, გოტაში, როსტოკში, ნორდჰაუზენში და სხ.

ყველა ქალაქებში და დაბებში აჯანყებულები ანადგურებდნენ კომუნ. პარტიის და პოლიციის შენობებს. ანგარიშს უსწორებდნენ სასტიკ კომუნისტებს, წვავდნენ და ხევდნენ კომუნისტების «ბელადების» პორტრეტებს.

### ბერლინის აჯანყების გამო.

საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის სახლვარგარეთელ ბიუროს სახელით ამხ. კ. გვარჯალაძემ თანაგრძობის წერილი გაუგზავნა გერმანიის სოც.-დემოკ. მ. პარტიას, სადაც ის აღნიშნავს რა გერმანიის მუშათა კლასის აჯანყების მიზეზებს ასკვნის:

... «თავისუფალი გერმანია და მასთან ერთად საერთაშორისო მუშათა კლასი სამარადისო ძეგლს დაუდგამს 17 ივნისს წმინდა საქმისთვის დაღუპულ გმირებს. ქართველი სოციალდემოკრატები, რომელნიც 32 წელია საქართველოში კომუნისტურ ხელისუფლებას და მოსკოვის დიქტატურას ვებრძვიტ, გერმანელ მუშების დღევანდელ შეუპოვარ ბრძოლით აღფრთოვანებულნი, მთელი ჩვენი ძმური თანაგრძობით მათ მივესალმებით და გამარჯვებას ვუსურვებთ.

ჩვენს ყურადღებას არ გამოპარვია ის, რომ 17—18 ივნისის დღეებში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან დემონსტრაციებს ადგილი ქონდა აღმოსავლეთ გერმანიის სწორეთ იმ ადგილებში, სადაც წინეთ გერმანიის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები იყვნენ ძლევამოსილნი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ უცხო უღლისგან განთავისუფლების და გერმანიის გაერთიანების საქმეში გერმანიის სოციალდემოკრატია ამ ახლო მომავალში ითამაშებს დიდს და შესაფერ როლს.

გაუმარჯოს თავისუფალ და მთლიან გერმანიას!».

ამხ. აღ. კორძაიამ მიუხედავად გაუგზავნა დეპეშა ქართველ სოციალდემოკრატების სახელით ბერლინის ქალაქის თავს პროფ. ერ. როიტერს—გერმანიის მუშათა კლასის მიერ 17 ივნისის თავდადებულ გამოსვლების გამო.

### საპროტესტო მიტინგი.

სამშაბათს, 30 ივნისს, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის და თავისუფალი სინდიკატების თაოსნობით, მიუტუალიტეს დარბაზში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ აღმოსავლეთ გერ-

მანიაში. ზღვა ხალხი მოუთმენლად ელოდა მიტინგის გახსნას. მოულოდნელად ჩაქრა ელექტრონის შუქურები და ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ეკრანზე გამოჩნდა აჯანყებული ბერლინის ნამდვილი ცოცხალი სურათები, პოლანდიურ ფირმას ადგილზე რომ გადაუდია. პარიზის საზოგადოების თვალწინ გაიშალა იენისის სისხლიანი სცენები მშვიდობიან მუშებში ცეცხლის და სიკვდილის მთესავი საბჭოთა ტანკები, ტყვიისმფრქვევლებით, მუშათა სისხლი და მხეცური რეპრესიები. ქუჩის ბრძოლებში გამოცდილი პარიზელები აღშფოთებული შესცქეროდნენ ამ ჯოჯოხეთურ მოჩვენებას.

მომენტმა მიაღწია უმაღლეს პათეტიურობას აჯანყებაში მონაწილე სამი ბერლინელი მუშის მიტინგის ტრიბუნაზე გამოჩენისას, რასაც დამსწრე საზოგადოება ფეხზე ადგომით, გაუთავებელი ოვაციებით და უღრმესი სოლიდარობის ემაციებით შეეგება. მარტივ, მუშური ენით ერთმა მათგანმა განაცხადა: «მტრები ჩვენს პროვოკატორებათ გასაღებას სცდილობდნენ; შეკიდლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ჩვენ ჩირქი არ მოგვიცხია მუშათა საქმისათვის; ჩვენი ბრძოლის დასაბამი იყო სამუშაო ნორმების ზრდა, რაც პირწმინდათ გვისპობდა ცხოვრების საშუალებას. ჩვენ აღარ გვინდა მონები ვიყოთ. ჩვენ მოვითხოვთ თავისუფალ არჩევნებს მთელს გერმანიაში და გროტეველ-ულბრიხტის მთავრობის გადადგომას. ჩვენი მოძრაობის შესაჩერებლად მათ საჯაროთ აღიარეს, რომ მათმა რეჟიმმა მუშათა კლასს სიცოცხლის საშუალება მოუსპო, მაგრამ დაავიწყდათ გადადგომა. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენი ბრძოლა დამთავრებული არაა. ჩვენ ვიბრძობებთ შეუჩერებლად მშრომელთა უფლებებისა, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის».

ბრძოლის ცეცხლიდან ახლად გამოსული მუშის განცხადებამ აუდიტორიას შეუქმნა განწყობილება—უსაზღვრო ზიზღი და აღშფოთება კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ და ურუხურვო სოლიდარობა გერმანელ აჯანყებულთა მიმართ.

## ბერიას დატყვევება.

ყურნალის აწყობა თითქმის დათავებული გვექონდა, როცა მოვიდა ამბავი ბერიას დაჭერის და მისი პარტიიდან გარიცხვისა.

ამ სენსაციურმა ცნობამ მსოფლიო საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო. ეს არც გასაკვირია: ბერია, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მეორე პიროვნება იყო მთელ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა დიდი ენციკლოპედია (მეხუთე ტომი), სადაც მას დათმობილი აქვს სამი დიდი კოლონა და მის სურათს უჭირავს მთელი ერთი გვერდი, ასე გვაცნობს მას: «ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მმარ-



თველი საბჭოთა რუსეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსი. ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი სტალინის, წევრი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი, შიდადგოლი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, დეპუტატი უზენაესი საბჭოსი, გმირი სოციალისტური შრომის, მარშალი საბჭოთა კავშირის, ხუთჯერ დაჯილდოებული სუვოროვის პირველი რანგის ორდენით, ორჯერ წითელი დროშის ორდენით, შვიდჯერ საბჭოთა კავშირის მედალით».

დღეს ეს ბერია დაჭერილია და მისი დაჭერის მიზეზს გახეთი «პრავდა» გადმოგვცემს ასე: «ახლა ნიღაბ ჩამოხსნილ ბერიამ სხვადასხვა მაზინაციებით დაიმსახურა ნღობა და გაძვრა ხელმძღვანელობაში. თუ წინეთ მისი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მუშაობა მალულათ და ნიღაბ ქვეშ სწარმოებდა, უკანასკნელ დროს ის სრულათ გატყუალდა და გამოაჩინა თავის ნამდვილი სახე, სახე პარტიის და საბჭოთა ხალხის ბოროტი მტერის. მისი ასეთი დანაშაულებრივი აქტივობა გამოწვეულია საერთაშორისო რეაქციის გაძლიერებით. აქტივობას იჩენს მსოფლიო იმპერიალიზმი, — აქტიური ხდება მისი აგენტურაც. სრული ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ ის შეეცადა გარყვნილი მაზინაციებით დაეყენებია შინაგან საქმეთა სამინისტრო პარტიასა და სახელმწიფოს წევრთ. სხვადასხვა ბოროტი ზომებით ის ცდილობდა საბჭოთა ხალხების მეგობრობის ძირის გამოთხრას, სთესავდა მტრობას საბჭოთა ერების შორის, ხელს უწყობდა რესპუბლიკების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტების აქტივობას. უდაო ფაქტები ამტკიცებენ, რომ ბერიამ დაჰკარგა კომუნისტური სახე, გახდა საქმით მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტი; ეს უცხოელი იმპერიალისტური ძალების მიერ დაქირავებული ავანტიურისტი ადგენდა გეგმას პარტიისა და ქვეყნის მართველობის ხელში ჩასაგდებათ, რომ ფაქტიურათ დაენგროა ჩვენი კომუნისტური პარტია და საბოლოათ მოეხდინა კაპიტალიზმის რესტავრაცია».

ამრიგად, გუშინ ის «გმირი» იყო, — დღეს მოლაღატეა. გუშინ თვითონ იჭერდა სხვებს — დღეს მას იჭერენ. გუშინ ქვეყანას განაგებდა — დღეს სადაც ჩეკის სარდაფში იკრუნჩხება.

ასეთია ის რეჟიმი, რომლის შექმნაში, მანაც დიდი მონაწილეობა მიიღო. ბერიას ასეთი ბედი, უუქველია, დასაწყისია იმ რეჟიმის დასასრულის, სადაც ასეთი ამბებია შესაძლებელი. ბერიას დაცემას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და ინტერესი აქვს. ის ნათელს ფენს და სააშკარაოზე გამოაქვს ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებს კრემლის უმადლეს საფეხურზე. ბერიას დაჭერით და მისი «ხალხის მტრათ» გამოცხადებით — სრულდება ერთი ეტაპი ამ ძალაუფლებისათვის ბრძოლისა. ეს პირველი ეტაპი დამთავრდა ბერიას დამარცხებით და მალენკოვის გამარჯვებით, მაგრამ მალენკოვიც არ დამჯდარა ჯერ ტახტზე; მას ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა დას-

ჭირდება ამ ტახტის დასაპყრობათ. და აი აქ იწყება ბრძოლის მეორე ეტაპი, რომელშიაც, ეჭვი არაა, მონაწილეობას მიიღებს რომელიმე ახალი ძალა. შესძლებს კი მალენკოვი ამ ძალის გამკლავებას? ძალიან საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში ბრძოლა ხელისუფლებისათვის არამც თუ არ დამცხრალა— პირიქით, ღვივდება და ძლიერდება.

ამრიგად, სტალინის მემკვიდრეთა ბანაკი თანდათან ირღვევა. მათი დაქცევის დროში მათ თვითვე ააფრიალეს. რუსული კომუნისტების ლიკვიდაცია შინ და გარეთ დღის წესრიგში დაისვა.

ბერიას დაჭერით ფარდა ჩამეოშვა, მარა ეს არის ფარდა ანტრაქტის და არა დრამის დათაგების. ბრძოლა გრძელდება ფარდის იქით და გაგრძელდება მანამდის, სანამ სცენაზე არ გამოვა თვით რუსის ხალხი და ერთი ხელის მოხმით არ მოსპობს იმ ბოროტების ბუდეს, რომელსაც კომუნისტური რეჟიმი ეწოდება.

გზ. ურ.



### ბოლშევიკების წყალობა.

ამ რამდენიმე წლის წინად, როცა მოსკოვის მთავრობა დამთვრალი იყო ომის შედეგებით და თავისი თავი ყოვლის შემძლე მიიჩნადა, იგი მუშტს იღებდა ყველა მიმართულებით და ერთი დიდი მუქარა მაშინ ოსმალეთსაც უთავაზა: მას ედავებოდა იგი სომხეთიდან და საქართველოდან ჩამოჭრილ იმ ტერიტორიებს, რომელიც თვითონ საბჭოთა კავშირმა უბოძა ოსმალეთს 1921 წელს. განსაკუთრებული ხელშეკრულებით (ყარსის, ართვინის, არდაგანის და ნაწილი ბათუმის ოლქების).

ამ დავაში საბჭოთა ხელისუფლებამ, სხვათა შორის, გამოიყენა მაშინ ქართველ მეცნიერების სახელიც, საქართველო ისტორიულ უფლებებსაც წაეპოტინა და თავის პრესაში დიდი აჟურ-ზაური ატეხა; თითქოს ამ საქმეში თვითონ მას არავითარი ბრალი ედებოდეს და თვითონ არ ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნის უფლებების და ხელშეკრულებების უმთავრესი დამრღვევი და ფეხ-ქვეშ გამთელავი!..

ახლა, როცა საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა და არც მისი საკუთარი საქმეები მიდის ისე, როგორც მათ ეჩვენებოდა, მოსკოვის მთავრობა დაპირებების წყაროთ გადაიქცა: შინ, საკუთარ ხალხს, ამნისტია დაპირდა; გარედ, დასავლეთისკენ, საბჭოთა მიერ დაჭერილ გერმანიის ტერიტორიის მცხოვრებთ უდიდესი შეღავათები აღუთქვა და საერთოდ მდგომარეობის გაუმჯობესება დაპირდა; ავსტრიაში საოკუპაციო სამხედრო რეჟიმი შეასუსტა; არც ოსმალეთი დაივიწყა. როგორც გაზეთები იტყობინებოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ნოტა გადასცა ოსმალეთის მთავრობას და პირ-

დება იმას, რომ მოხსნის თავის მოთხოვნილებებს ოსმალეთისთვის გადაცემულ ზემოდ აღნიშნულ ტერიტორიებზე, რომ სურს ადადგინოს ოსმალეთთან საუკეთესო ურთიერთობა და ელაპარაკოს მას ზოგიერთ საერთო საკითხებზე (ეგვრეთ წოდებულ «მონტრეს შეთანხმება» და სხვ.).

არ ვიცით, რას უპასუხებს ოფიციალურათ ოსმალეთის მთავრობა საბჭოთა ხელისუფლების ნოტას; ხოლო პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამ ამბავს დიდი ენტუზიაზმი ანკარაში არ გამოუწვევია. ერთხელ მიცემულის ხელმეორეთ მიცემა და ერთხელ ცალმხრივთ დარღვეულ ხელშეკრულების ხელმეორეთ აღდგენა ძვირათ არ ფასობს. როგორც ოსმალეთიდან გაზეთის კორესპოდენტი იტყობინება, 11 ივნისს რადიომ რომ ცნობა მოიტანა ოსმალეთის ელჩისთვის ნოტის გადაცემის შესახებ, 12 ივნისს ყველა თურქულ გაზეთებმა განურჩევლათ მიმართულებისა ერთი გამოძახილით უპასუხესო ამ ცნობას: რაც უნდა მოხდეს ამიერიდან, ოსმალეთი თავისუფალ მსოფლიოს გაერთიანების მონაწილე არის და იმას არ უღალატებსო... «დასავლეთის» პრესაც საბჭოების ამ დაპირებას უყურებს მხოლოდ როგორც ხერხს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებულს ოსმალეთის «დასავლეთიდან» ჩამოსაცილებლათ, ბალკანეთის შეთანხმების შესაქმნელათ და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ინტერესები ჩვენ ძალიან გვიანტერესებს. მაგრამ არც მაშინ მიგვიქცევია საბჭოთა პრესის ხმაურობისთვის დიდი ყურადღება, როცა საბჭოების «პატრიოტები» ჯვაროსანთა ომით იმუქრებოდენ, ვითომ ამ ტერიტორიების საქართველოსთვის დასაბრუნებლათ, და არც ახლა გვგონია, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტა კეთილი სურვილებით იყოს გამოწვეული. ბოლშევიკების შინა-განზრახვები მუდამ დამალულია და როცა მოსჩანს, იგი ძვირათ თუ ხვდება ერის ნამდვილ ინტერესებს.

დამახასიათებელი ამ საქმის ისე, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების საქმიანობის, ის არის, რომ მას ხელში უჭირავს ჩვენი ქვეყანა, როგორც სათამაშო კარტის ერთი კოზირი, რომელსაც ხან ისე გადაისვრის და ხან ასე, როგორც ამას საჭიროთ დაინახავს თავის საკუთარ საქმეებისთვის მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ქართველ ხალხს საერთოდ არაფერს ეკითხებიან და ამ საქმეში აბა რას დაეკითხებიან?

—ნე.

## საპატაშორისო სოციალისტური და მუშათა მოძრაობა.

აზიის სოციალისტების კონფერენცია.

1—13 იანვარს, 1953 წ. რანგუნში (ბირმანიაში) შესდგა აზიის სოციალისტების კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ: ბირმანია, ინდოეთი, პაკისტანი, ცეილონი და ინდონეზია. კონფერენციას თავმჯდომარეობდა ბერმანიის დელეგაციის წევრი—ი. ბა ზინ, რომელმაც წარმოსთქვა მეტად შინაარსიანი სიტყვა, რაიცა საფუძვლათ დაედო კონფერენციის მთელ მუშაობას.

კონფერენციამ აირჩია სამი კომისია: 1, პოლიტიკურ-ორგანიზაციული, 2, ეკონომიური და აგრარული რეფორმის, 3, სოციალურ-ტაქტიკური.

პირველმა კომისიამ შეიმუშავა და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: აზიის განმათავისუფლებელი მოძრაობა თანდათან იპყრობს აზიის მასებს და აძლევს მას განმანთავისუფლებელ და სოციალისტურ ორიენტაციას. აზიის სოციალისტების მოვალეობაა შეიმუშავონ ეკონომიური და სოციალური განვითარების სისტემა მსოფლიოს ორმესამედ ჩამორჩენილ ნაწილისათვის. მხოლოდ ასეთ იდეოლოგიას შეუძლია დაიპყროს აზიური სული და გული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეეცდება ეძიოს მშვიდობიანობა და მოსვენება სტალინიზმში. მშვიდობიანობა ნიშნავს შეუწყვეტელ ბრძოლას კოლონიალიზმის, ზონების გავლენის და ქვეყნების ეკონომიური უთანასწორობის წინააღმდეგ. აუცილებელია აგრეთვე O.N.U. დემოკრატიზაცია.

მეორე კომისია მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ჩვენი გლეხობა არის უმთავრესი ფაქტორი დრამის. აუცილებელი საპირობებაა განაწილებულ იქნას მათ შორის მიწები და გაეწიოს მათ დახმარება სამეურნეო იარაღების მიწოდებით. აგრეთვე საპირობაა შეიქნეს აზიაში მსხვილი და საშუალო წარმოებანი და ამავე დროს არ იქნეს დაფიქსებული აგრარული სექტორი. უნდა შეიქნეს აზიაში ორგანო (Autorité) მსოფლიო განვითარებისათვის, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს ყველა ქვეყნებმა მიხედვით თავის რესურსებისა. ამავე დროს, თანხმად წინააღმდეგ შემთავებული გეგმისა, მის მოვალეობაში უნდა შედიოდეს, როგორც მიღება ისე განაწილება სხვადასხვა ქვეყნებიდან აზიისათვის მიწოდებულ ნივთიერ დახმარებისა. ეს დახმარება არ უნდა იყოს დაკავშირებული რაიმე პოლიტიკურ მოთხოვნებთან.

მესამე კომისიამ მიიღო რეზოლიუცია აზიის ქვეყნებთა ურთიერთ შორის ეკონომიურ-კულტურულ თანამშრომლო-

ბის და დახმარების, დაცვა მათი საზღვრების «განმათავისუფლებელი არმიების» (იგულისხმება კომ.ჯარების) იდეოლოგიის შემოჭრისაგან, და აგრეთვე უცხო კაპიტალის მიერ აზიის ეკონომიური სტრატეგიული პუნქტების ხელში ჩაგდებისაგან, რომლის მიზანია გავლენა მოახდინოს აზიის ეკონომიურ პოლიტიკაზე. აზიას არ შეუძლია მოითმინოს უცხო ბატონობა, რომლის შედეგი იქნება ჩალრჩობა პოლიტიკური თავისუფლებისადმი მისწრაფებების და სოციალურ ცვლილებებისა. კონფერენცია ამავე დროს საჭიროთ სთვის გაუწიოს ბრძოლა შინაგან განხეთქილებას და რელიგიურ ფანატიზმს და შეიქმნას საერთო ფრონტი საგარეო პოლიტიკაში, რომლის პრინციპი უნდა იქნეს არა ნეიტრალიზმი, არამედ «მე-სამე ძალა» ორ ბლოკთა შორის.

დაბოლოს კონფერენციამ აიჩინა მუდმივი სეკრეტარი-ატი და გამოიმუშავა სოციალისტურ ინტერნაციონალთან შეთანხმების და ურთიერთობის საფუძვლები. კონფერენციამ მიმართა ინტერნაციონალს გადადგას უფრო გაბედული ნაბიჯები კოლონიალიზმის და აფრიკის ხალხების მიმართ არსებულ რეპრესიების წინააღმდეგ.

ევროპის სოციალისტების მინდობილობით კონფერენციას დაესწრო ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი ეტლი.

აზიის სოციალისტ. კონფერენციამ დიდი ყურადღება მიიპყრო სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტური პარტიების.

გაზეთ «იანატა»-ში სოც. აზაკა—მეტხა სწერს: «კონფერენცია ბრწყინვალე მიღწევაა თანამედროვე დუხშირ ცხოვრებაში, აღფრთოვანებული ადამიანში რწმენით და ერთგული თანასწორი და თავისუფალი საზოგადოების იდეის— აზიის სოციალისტებმა გამოსქედეს ახალი ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ჩქარა გახდეს აზიის ხალხების იმედების განხორციელების ბრძოლის იარაღი».

ფრანგული ჟურნალი «ინტერ. სოციალ. კორესპოდენცია», თავის თებერვლის (1953 წ.) ნომერში სწერს: «აზიის სოციალისტები ჩვენ გვიჩვენებენ, რომ მხოლოდ ორიენტაცია და პოლიტიკური პროგრამა დიდი პერსპექტივებით, დაფუძნებული ძლიერ ნებისყოფაზე და ნათლად წარმოდგენილ მისაღწევ მიზნებზე, არის პირობები სოციალიზმის ყოველგვარ გამარჯვების».

აზიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტურ ინტერნაციონალის კონგრესზე, რომელიც შესდგა სტოკოლმში 16—18 ივლისს. დელეგაცია შესდგებოდა 16 წევრისაგან, რომლის სათავეში იდგა ემ-იუ-ტუნ-ვინი, ბირმანიის ინფორმაციის მინისტრი, იმავე დროს მდივანი აზიის სოციალისტების კონფერენციისა, რომელიც შესდგება ათ ავვისტოს ხაიდერობადეში. ამ კონფერენციამ უნდა გამოიმუშავოს თანამშრომლობის პირობები ევროპის სოციალისტებთან.

0. ე.

მუნიციპალური არჩევნები ინგლისში და გოლანდიაში.

ინგლისში მუნიციპალურ არჩევნებს, როცა მას ადგილი აქვს საპარლამენტო არჩევნების წინ ახლო ხანებში, განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან. ამით აიხსნება ის, რომ კონსერვატორების პარტიამ მთელი მისი ძლიერი აპარატი ამუშავა გასულ აპრილის ბოლოს და მაისის პირველ რიცხვებში მომხდარ მუნიციპალურ არჩევნებში გასამარჯვებლად. მაგრამ მათ ბედმა უმტყუნა და იმედი არ გაუმართლა. ამ არჩევნებში დიდი გამარჯვება ხვდა მუშათა პარტიას. მან სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გაიყვანა ახალი თავისი წარმომადგენელი და 688 ადგილი მოიგო.

გარდა იმ ადგილებისა, სადაც მუშათა პარტიას ქალაქის თვითმართველობებში უკვე ყავდა უმრავლესობა, დღეს ის უმრავლესობაშია აგრეთვე შემდეგ ქალაქებში: ლიდსში, ოლკში, გრემსბში, პლიმუტში, სვინდომში, მანჩესტერში და ლივერპულში. ამ ორ უკანასკნელ დიდ ინდუსტრიალურ ქალაქში დიდი უმრავლესობა კონსერვატორებს ყავდათ.

გასულ მაისში ადგილი ქონდა აგრეთვე მუნიციპალურ არჩევნებს გოლანდიაში. აქაც დიდი გამარჯვება ხვდა წილად მუშათა პარტიას.

1952 წლის საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს და ისინი ვახდენ უძლიერესი პარტია მთელ გოლანდიაში. როგორც წელს საპარლამენტო არჩევნებში, ისე ეხლაც მუნიციპალურ არჩევნებში ბევრ კათოლიკე მუშებმა ზურგი აქციეს კათოლიკურ პარტიას და ნდობა გამოუცხადეს სოციალისტურ პარტიას და დღევანდელ მთავრობას, რომელსაც სოციალისტი დრეესი თავმჯდომარეობს. ამსტერდამშიდა ჰააგაში, სადაც ლიბერაციის შემდეგ კომუნისტები თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდენ, ეხლა იქ ყველგან სოციალისტები გაბატონდენ და ქალაქთა თვითმართველობები მათ ხელში გადავიდა.

მთელ გოლანდიაში კომუნისტების ძალა და გავლენა ხუთ პროცენტს არ აღემატება.

#### სამაისიქ მიმართვები.

პირველ მაისის დღეს ინგლისის მუშათა პარტიის ლიდრმა—ჰერბერტ მორისონმა რადიო-გადაცემის საშუალებით მუშებს და გლეხებს რკინის ფარდის იქით შემდეგი მოწოდებით მიმართა: ჩვენი სოციალისტური და დემოკრატიული თანაგრძობა და კარგი სურვილები თქვენდამი ჩვენ გვაგრძობინებს და გვაგებინებს თქვენ სულიერ ტანჯვას და პიროვნულ დამცირებას. ჩვენ არ ვართ ომის მომხრე. მეორე დიდ ომმა კაცობრიობას დიდი ზარალი მოუტანა. ჩვენ მოსურნენი ვართ საქმე მშვიდობიანი გზით ვაკეთოთ... მე

გთხოვ თქვენ, იმედი არ დაკარგოთ. ნუ გაქრება თქვენი თავისუფლების, სოციალიზმის და დემოკრატიის იდეალები. ნუ იქნებით უიმედო და ნუ შევიპყრობთ სასოწარკვეთილებდაკაცობრიობის ისტორიაში ხშირად ყოფილა რეაქციონური ხანის პერიოდები, მაგრამ ამას მოყვებოდა განთიადი ნელ-ნელა, ხან კი უცბად და მოულოდნელად, ტირანია არ შეიძლება იყოს მუდმივი და პერმანენტული».

თავისუფალ ტრედუნიონებთა საერთაშორისო კონფედერაცია მიმართავს რა პირველ მაისს მის 54 მილიონ წევრთ სხვადასხვა ქვეყნებში, არ ივიწყებს იმათაც, «ვინც იტანჯებთან ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში დემოკრატიის და ნამდვილ მშვიდობიანობისათვის». მიმართვაში აღნიშნულია კრემლის დიქტატორთა ისტერიკული შიში, მათი უმდაბლეს ინსტიტუტებზე დამყარებული ტერორისტული ზომები ადამიანთა ბოროტებით შესაპყრობათ და მოუწოდებს ყველას: «მჭიდროდ შეკარით ბრძოლის რიგები თავისუფლების, სამართლიანობის, სოციალური პროგრესის, პურის და მშვიდობიანობის მოსაპოვებლად. გახსოვდეთ ყოველთვის, რომ თქვენი მიზანი ადვილად მიღწეულ იქნება მაშინ, როცა ეხლა ჩაგრულნი და დამონებულნი მტკიცე ნებისყოფით გაერთიანდებიან მტარვალების წინააღმდეგ».

### ნოე ჟორდანიას სამოქალაქო პანაშვილი

3 მაისს, 1953 წ., Rap-ის დარბაზში, საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი საქართველოს პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ხსოვნის აღსანიშნავათ.

დანიშნულ დროზე დარბაზი გაივსო ქართველებით და უცხო სტუმრებით. სცენის შუა ადგილს იყო პრეზიდენტის დიდი სურათი შემკული ყვავილებით და ირგვლივ ეროვნულ დროშებით და რესპუბლიკის ლერბით.

სხდომა გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარე შ. აბდუშელმა, რომელმაც ვრცლათ ილაპარაკა იმ ღვაწლზე, რომელიც დასდო განსვენებულმა პრეზიდენტმა ქართველი ერის ცხოვრებას და სთხოვა დამსწრეთ პატივი ეცათ ფეხზე ადგომით მის ხსოვნისათვის. ამ დროს გაისმა შოპენის სამგლოვიარო მარში, რაც ფეხზე მდგომმა დამსწრებმა მღუმარებით მოისმინეს. ამას მოყვა ეკრანზე ზოგიერთი სურათები განსვენებულის ცხოვრებიდან, რის შემდეგ რ. ასათიანმა წაიკითხა თანაგრძნობის წერილები და დეპეშები შემდეგი პირობისაგან: ბრაკე—საფრანგეთის გამოჩენილი სოციალისტი, არ. მალში—საქართველოს მეგობარი ქენევიდან, იქიდანვე ედ. მილა, ბრაუნტალი—სოციალისტური ინტერნაციონალის

მდივანი, ქ-ნ შვევალიე, აღ. შათირიშვილი—სოშოს სათვის-  
ტომოს თავმჯდომარე, ბ-ნი აბულაძე—სოშოს ეროვ. დემოკ.  
ორგანიზაციის სახელით და ილ. სალუქვაძე—სოშოს სოც.-  
დემ. ორგანიზაციის დავალებით.

შემდეგ განსვენებულის მდიდარ და მრავალფეროვან  
მოღვაწეობის შესახებ ფრიად შინაარსიანი ვრცელი სიტყვე-  
ბი წარმოსთქვეს: საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორ-  
მა საქართველოს მთავრობის სახელით, საქ. სოც.-დემ. პარ-  
ტიის სახელით კ. გვარჯალაძემ, საქართველოს დიდმა მეგო-  
ბარმა კ. ჰუისმანსმა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის  
წარმომადგენელმა ამხ. როზენფელდმა, ცენტრალურ ევროპის  
დაპყრობილ ერთა სახელით—კოსტანტინესკომ, უკრაინის  
რადის წარმომადგენელმა—ანდრეევსკიმ, კავკასიელ მეზო-  
ბელ ერთა დავალებით—ა. ტობჩიბაშევმა და ქართველ ახალ-  
გაზდათა დემოკრატიული კავშირის სახელით—გოგი წერე-  
თელმა.

პოეტმა გ. ყიფიანმა წაიკითხა თავის ლექსი—«პრეზიდენ-  
ტის გარდაცვალება».

დასასრულ სათვისტომოს სახელით ლ. ფალავამ მადლო-  
ბა გადაუხადა საზოგადოებას გარდაცვალებულ პრეზიდენ-  
ტისადმი ასეთი მხურვალე და თბილი თანაგრძნობისათვის.

S.

## 26 მ ა ი ს ი

### პ ა რ ი ზ ი.

პარიზის ქართველობამ ჩვეულებრივი ინტერესით იდღე-  
სასწაულა საქართველოს თავისუფლების აღდგენის დღე—26  
მაისი.

დანიშნულ საათზე სამხედრო კლუბის დარბაზი გაივსო,  
როგორც ქართველებით ისე მრავალ უცხო სტუმრებით. აი-  
ხადა თუ არა ფარდა გამოჩნდა სცენა ქართული დროშით და  
ქართული ღერბით მორთული. ზეიმს ხსნის ბ-ნ თვალთაშვი-  
ლის ხელმძღვანელობით, ახალგაზდათა გუნდი «დიდება»-ს  
შესრულებით, რასაც ფეხზე ამდგარი დამსწრე საზოგადოება  
აღფრთოვანებით ისმენს.

წუთები პატრიოტულ აღტკინებისა, დაკარგულ თავი-  
სუფლების მოგონებისა და იმედის მომცემისა ერთი-მეორე-  
ში ირევა, ინასკება... გონება და ფიქრი დატოვებულ მიწა-  
წყალს ეზიარება და ავიწყდება ყველას მძიმე ზვედრი ლტოლ-  
ვილისა. ამ აღფრთოვანების სურათს ჩრდილს აყენებს ის  
უდიდესი ნაკლი, რომელიც ასე მკერმეტყველურათ აღნიშნეს  
ქართულ ენაზე სათვისტომოს თავმჯდომარემ შ. აბდუშელმა  
და ფრანგულ ენაზე ლ. ფალავამ. ესაა—საქართველოს სუვერე-  
ნობის გამჟღადის, მისი მედგარი დამცველის ნოე ჟორდანისა



პიროვნების განშორება. ეს ხომ პირველი 26 მაისია, როცა ის არ გადაჰყურებს ქართველთა ზეიმს, არ აფრქვევს იმედის ნაპერწკლებს და არ ეუბნება მათ—გული არ გაიტენოთ, ახლო მომავალში დედა-ქალაქში იდღესასწაულებთ ქართველი ერის გამარჯვებას... ორივე ორატორთა სიტყვები, რომ მან დაგვიტოვა ანდერძათ ბრძოლა ამ გამარჯვების მოსაპოვებლათ, ხვდება დამსწრეთა გულს და უხმო ფიცი თავის პრეზიდენტის მიმართ—ბრძოლის გასაგრძელებლათ—აკაეებს მათ სულს.

გამამხნეველებია სიტყვა ფრანგ ადმირალ პოპერის, რომელიც ზეიმის საპატიო თავმჯდომარეა. ის მხურვალე, თბილი და მეგობრული ტონით მიმართავს ქართველობას. უსურვებს მათ მხნეობას, იგონებს იმ დღეებს, როცა მას შემთხვევა ჰქონდა, როგორც შავი ზღვის ფრანგულ ფლოტის ადმირალს გადმოხვეწილ ქართველობისთვის დახმარება გაეწია. დამსწრე საზოგადოება ნიშნად მადლობისა «ვაშა»-ს ძახილით და მხურვალე ტაშისცემით აჯილდოებს მას, ქალბატონი ირინე ბაგრატიონი მას მოხდენილი სიტყვით მადლობას უხდის.

განსაკუთრებული შერჩევით შეზავებული იყო წელს არტიტული ნაწილი ზეიმისა რამაც უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია, რადგან სცენაზე სპარბობდა ჩვენი ნორჩი თაობის გამოსვლები. აბა ისე რა ააღლევებს, ასიამოვნებს, დაატკბობს, შვებასა და იმედს მისცემს ქართველის გულს, როგორც საკუთარ ბავშვების მიერ ქართული ტრადიციების ათვისება, ხელოვნების დარგში მათი ნიჟის გამოჩენა და ამით დედ-მამის სურვილი ქართული სულით აღზრდილი შვილები მიუძღვნას ერს... მაშასადამე რა გასაკვირია, რომ სცენაზე მცირე წლოვანთა ცეკვას, ლექს, პიანინოზე დაკვრას აღტაცებაში მოჰყავდა დამსწრე საზოგადოება. არ შეუდგებოთ თითქმის მათგანის როლის შეფასებას, რადგან ყველა მონაწილენი ღირსნი არიან ჩვენი ქებისა და მადლობის. ყველას მათ უსურვებთ კვლავ განაგრძონ თავიანთ ნიჟის გაფუძრქენა, ქართულ ხელოვნების დარგში მაცადინაობა. ჩვენს სათვისტომოს გამგეობას კი ეკუთვნის მადლობა ასეთი ხელმძღვანელობისთვის.

ა.

### ს ო მ ო.

სომოს ქართველთა სათვისტომოს გამგეობის თაოსნობით 26 მაისის დღესასწაული მოწყობილ იქნა საამისოთ მორთულ დარბაზში, ამავე დღესვე გადახდილ იქნა პანაშვიდი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხსოვნის აღსანიშნავათ. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნა. შათირიშვილმა, რომელმაც აღნიშნა 26 მაისის მნიშვნელობა, ხაზი გაუსვა იმ უდიდეს როლს, რომელიც წილად ხვდა ნოე ქორ-

დანიას, რომელიც 60 წლის მანძილზე უძღვებოდა ქართველ ერს და დაასკვნა, რომ ამ უდიდესი ქართველის სახელი უკვდავი იქნება ქართველი ადამიანის გულში და საქართველოს ისტორიაში...

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე: ბ.ბ. რ. ყიფიანმა, ს. ჭირაქაძემ, ი. სალუქვაძემ და ევ. აბულაძემ. დ. ქიმერიძემ თავისი საკუთარი ლექსი უძღვნა ნოე ჟორდანიას ხსოვნას.

დასასრულ გაიმართა ბანკეტი. აქაც გამოსული მოლაპარაკენი აღნიშნავდნენ 26 მაისის მნიშვნელობას. თავიანთ სიტყვებში ფართეთ ეხებოდნენ ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას, მის როლს ქართველი ერის ცხოვრებაში და დამოუკიდებლობის გამოცხადებაში.

ი. ბ.—ი.

### მ ი უ ნ ხ ე ნ შ ი.

26 მაისს ტრადიციულად ბავარიის რადიო-სადგურმა აცნობა თავის მსმენელებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 35 წლის შესრულების შესახებ. აღნიშნული იყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ქართველი ერის შეურიგებლობა დამპყრობელები-სადმი.

მიუნხენის ანტიბოლშევიკური რადიო-სადგურის («განთავისუფლება») გვერდით მდებარე «კანტინში» ქართული რედაქციის რედაქტორის ბ. რ. არსენიძის და მისი თანამშრომლების თაოსნობით და ამ სადგურზე მომუშავე ყველა ეროვნულ რედაქციების რწმუნებულების მონაწილეობით გადახდილ იქმნა ზეიმი საქართველოს სუვერენობის აღდგენის დღის მოსაგონებლად. ზეიმს დაესწრნენ აგრეთვე რუსებიც და პარიზიდან ჩამოსულნი ეროვნულ საბჭოს დელეგატები: ბ.ბ. გ. კერესელიძე, დ. სხირტლაძე და ნ. ურუშაძე. როგორც ზეიმის დარბაზს, ისე ქართულ რედაქციას ამშვენებდა ჩვენი სამფეროვანი დროშა.

აქაურ ერთ-ერთ საყავეში იმ დღესვე საღამოს შეიკრიბნენ ერთი ნაწილი მიუნხენელ ქართველობისა პარიზიდან ჩამოსულ თანამემამულეებთან ერთად ამ ჩვენი ისტორიული დატის აღსანიშნავად. სიტყვები წარმოთქვეს: ბ.ბ. პროფ. მიხეილ წერეთელმა, რაქდენ არსენიძემ, გიორგი კერესელიძემ, დავით საღირაშვილმა, ილია კუჭუხიძემ და სხვ. ორატორები თავის სიტყვაში აღნიშნავდნენ ახლად გარდაცვალებულ საქართველოს პრეზიდენტის და ქართველი ერის მეთაურის ნოე ჟორდანიას ღვაწლს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. ქართული კოლონიის გამგეობამ კი ამ დღის აღნიშვნა მოაწყო 30 მაისს.

26 მაისი—ნაცვ ქორდანიას სახელგაღზე.

26 მაისს—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, პარიზის ქართველობა პრეზიდენტის საფლავზე შეგროვდა. პანაშვიდის გადახდის შემდეგ პარიზის გარე უბნის ვანვის წყნარ სასაფლაომ პირველად მოისმინა «დიდება» და მით გაიგო რომ მის მიწაზე დროებით განისვენებს საქართველოს დიდი შვილი, მისი უფლების ერთგული და მედგარი დამცველი.

## მ ღ ზ ა რ მ ი ლ ო .

ამა წლის აპრილში საქართველოს დიდ მეგობარს და გამოჩენილ სოციალისტს ედგარ მილოს შეუსრულდა 80 წელი. ამის გამო ჩვენმა ამხანაგებმა სხვადასხვა კუთხიდან მას მიულოცეს დაბადების დღე, რაზედაც მისგნით მათ მიიღეს შემდეგი პასუხი:

«ძვირფასო მეგობარო ედგარჯალაძე,

თქვენმა მოლოცვამ უდიდესი სიამოვნება მაგრძობინა. უღრმესი მადლობა თქვენ და ყველა ჩვენ მეგობრებს ქართველ სოციალისტებს. თქვენ მართალი ხართ, მე ვიყავი საქართველოს მეგობარი, როცა ის ბედნიერ დღეებს განიცდიდა, დავრჩი მისი ერთგული აგრეთვე მის მწარე დღეებშიდაც. ქართველი ერის და მისი თავისუფლების დაცვა უკეთილშობილესი საქმეა. ჩემთვის დიდი პატივი და ელემენტარული მოვალეობაა დღევანდელ თქვენ ბრძოლაში ვიყო თქვენ გვერდით».

ძმური სალამით ედგარ მილო.

«პატივცემულ და ძვირფას მეგობარ მენადარს.

თქვენმა დეპეშამ, რომელიც მივიღე დაღლილობის წუთებში, უდიდესი შეება მაგრძობინა. გიძღვნიტ გულითად მადლობას როგორც თქვენ, ისე ყველა ქართველ მეგობრებს. ბრძოლა საქართველოს უფლების აღდგენისთვის არის უკეთილშობილესი საქმე, ამ ბრძოლაში ყოფნა თქვენს გვერდით ჩემთვის არის მოვალეობაც და პატივისცემაც».

მეგობრული სალამით ედგარ მილო.

«უძვირფასეს ამხანაგებს და მეგობრებს

ქართველ ხოციალდეშკრატებს ვერმანიაში.

შრომის ინტერნაციონალური დღესაწაულის დღეს, რომელიც არის დღე მშვიდობისა და თავისუფლების, ჩემი აზრი და გონება მოდის თქვენკენ და ყველა სოციალდემოკრატ მეგობრებისკენ გერმანიაში. ესაა აზრი უღრმესი მადლობის თქვენი მოლოცვისა და სურვილებისთვის. ესაა აგრეთვე აზრი ძმური მეგობრობის და სოლიდარობის მთელ ერთან, რომელმაც მისცა ქვეყანას სურათი საუცხოვო სოციალური დემოკრატიის».

თქვენი ედგარ მილო.

## მძვინ მვის თავი.

თითქოს გუშინ იყო და... როგორ სწრაფად გავიდა ექვსი თვე ნოე ქორდანიას გარდაცვალებიდან! ამ დღის აღსანიშნავად, შაბათს, 11 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მის საფლავზე ვანვში, თავი მოიყარა მისმა მეგობრებმა, ამხანაგებმა და პატივისმცემლებმა.

საფლავი მართული იყო ფერადი ცოცხალი ყვავილებით; შუაში ჩადგმული იყო მოზრდილი თეთრი მარმალლოს დაფა, რომლის შუა ადგილას ჩასმულია ნ. ქორდანიას საკმაოთ მოზრდილი სურათი, ირგვლივ ეროვნული დროებით. დაფაზე მარცხნით დიდი ასოებით ამოკერილია ქართულათ: საქართველოს პრეზიდენტი ნ. ქორდანია, მარჯვნივ იგივე წარწერა ფრანგულ ენაზე. ქვეშ დაბადება-გარდაცვალების წლები. ეს მარმალლოს დაფა გააკეთებია ამხ. დავით ხელაძემ თავის საკუთარი სურვილით და საკუთარი ხარჯით.

შეხვედრა გახსნა ეროვნული მთავრობის წევრმა კ. კანდელაკმა. მან თავის მოკლე მგრძობიარე სიტყვაში მოუწოდა დამსწრეთ იყვენ ერდგულნი განსვენებულის ანდერძის: განაგრძონ ბრძოლა მედგრათ სამშობლოს განთავისუფლები-სათვის. შემდეგ პარიზის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბაგ. წულაძემ წაიკითხა თავისი შემდეგი სიტყვა:

«ექვსი თვე შესრულდა, რაც დროებით საფლავს მივაბარეთ ის ადამიანი, რომელიც საქმეველივით დაიწვა ერის და ხალხის სამსახურში.

ადამიანი, რომელიც იცნობდა ქართველ ხალხს, ესმოდა მისი გაუტეხელი გულის ცემა და იცოდა მისი მაგარი ძარღვის ძალა.

სიყრმის დღიდანვე ქართველი ხალხის გულის ფიცარი რომ გახსნა და შიგ კითხულობდა მის სატკივარს.

ამ ხალხის სიბრძნესა და სიმტკიცეში ჰპოვა მან მალამო, რომელიც სამკურნალოდ დაადო დასნეულებულ ქვეყანას.

ხანგრძლივ სიცოცხლის მანძილზე აროდეს დაუსვენია, ხანგრძლივს და უთანასწორო ბრძოლებში ქედი არ მოუხრია.

პირმშო შვილი იყო ქართული სიბრძნის და სიამაყის; მხოლოდ მას შეეძლო ამ ორი დიდი თვისების შეთავსება.

85 წელი ეკლიან გზაზე ბრძოლით უვლია, ხშირად შეუწირავს გრძნობა გონებისათვის და ბუნებით ამაყს—სიამაყე ეროვნულ გონიერების ჩარჩოში ჩაუყენებია.

ამ მამია გურიელის ადამიანს, ყველა გრძნობებით უყვარდა ქართველი ხალხი და როცა იავარდ ქცეულს ჩვენს ქვეყანას მოსწყდა—ნუგეში და იმედი ისევ ქართველ ხალხში ჰპოვა. ევროპამ უმუხდლა—ქართველი ხალხი მისი ერდგული დარჩა.

დაგვეზორდა, მაგრამ დაგვიტოვა მთელი ხანა—«ფიქრის გორა»-დან სასახლემდე, 26 მაისიდან—25 თებერვლამდე.

26 მაისს დაიბადა დამოუკიდებელი თავისუფალი საქართველო, 25 თებერვალს სასიკვდილოდ დასჯეს იგი.

მზიან მაისში და სისხლიან თებერვალში მთელი ერი მას შეჰყურებდა, მისი იმედი ჰქონდა. ენლა ის უცხო მიწაში განისვენებს ქართველი ხალხის მიერ დაუტირებელი.

ვინ აღიჭურვება დღეს განუხსნადვრელი ნდობით ქართველი ხალხის მიერ? ვინ იქნება მისი მსაჯულ-სარდალი საბოლოო გამარჯვებამდე?

ვინ მიულოცავს ქართველ ხალხს სასახლის აივნიდან საქართველოს აღდგომას და დამსახურებულ თავისუფლებას?

ვინ მიართმევს ქართველ ერს მისი გამარჯვების საწინდარს, ამ «მტკიცე» კუბოს, რომელშიდაც მეოცე საუკუნის საქართველო—ნოე ჟორდანიას განისვენებს?

ეს მოვალეობა ბედმა არგუნა იმ მოღვაწეთ, რომელთაც ნოე ჟორდანიას წინამძღოლობით ათეულ წლებთა მანძილზე უვლიათ ეკლიან-სისხლიანი გზები და გაუმართლებიათ ქართველი ხალხის, განუხსნადვრელი ნდობა და უანგარო სიყვარული. ეჭვს გარეშეა, რომ ამათი ხელმძღვანელობით ქართველი ერი მოიპოვებს საბოლოო გამარჯვებას».

დასასრულ ამხ. ლევან ფალავამ, როგორც დამსწრეთა სახელით, ისე ნოეს ოჯახის სახელით, მადლობა გადაუხადა ამხ. დ. ხელაძეს ასეთი უანგარო პატივისცემისათვის.

შეხვედრის მოსაგონარათ გადაღებულ იქნა რამდენიმე სურათი, რის შემდეგ დამსწრენი მიიწვია ამხ. ინა ჟორდანიამ თავის ბინაზე, სადაც ნოეს ყოფილ სამუშაო ოთახში დიდხანს მუსაიფობდენ ნოესთან დაკავშირებული მოგონებებით...

გ. უ.

### წერილი ავსტრიიდან.

ჩვენი მცხოვანი პრეზიდენტის გარდაცვალება რადიოსადგურებმა მყისვე სათანადო განმარტებებით გამოაცხადეს, მისი ვინაობის, მისი ეროვნული და საკაცობრაო დამსახურების და მოსკოვის მიერ მზაკვრულად დაპყრობილ მისი ერის უზომო გლოვის აღნიშვნით. ასეთივე ცნობები დაიბეჭდა მრავალ პარტიულ თუ უპარტიო გაზეთებში.

ჩეხოსლოვაკიის გასაბჭოების მეხუთე წლის თავზე (25 თებერვლი) ავსტრიის რადიოს პოლიტიკურმა კომენტატორმა ბ. პროფესორ ვინცეც ლუდვიგ ოსტრიმ აღნიშნა რა ამ ორი თავისუფალი ქვეყნის თანაგვარი მწარე ხვედრი, რაიც მათ მოსკოვის წითელმა იმპერიალიზმმა ერთსა და იმავე დღეს განუშხადა, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველო, როგორც კომუნისტური აგრესიის პირველი მსხვერპლი, ყუჩად უღები გაფრთხილება იყო თავისუფალ მსოფლიოსთვის

მაგრამ ის უიმედობას არასოდეს მისცემია, თავგანწირვით განაგრძობს ბრძოლას თავისუფლების დასაბრუნებლად და მით თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ჩეხიისებურად რკინის ფარდით დახუთულ ერთა განთავისუფლების და მსოფლიოსათვის წითელი საფრთხის აცილების საქმეში.

სტალინ-ჯულაშვილის გარდაცვალებისას, რის ბუნებრივობას ავსტრიის პრესა მეტის მეტი სკეპტიციზმით შეხვდა, არ დარჩენილა თითქმის არცერთი თვალსაჩინო გაზეთი, რომელსაც, მის ეროვნულ წარმოშობასთან დაკავშირებით, ზიზღით და გმობით არ მოეგონებინოს მკითხველისათვის ამ უღირსი შვილის მიერ უცხო ჩექმებით მშობელი ერის გათვლევით ჩადენილი დიდი ღალატი.

გაზ. «Sal. Volxblafft»-მა მოათავსა საქართველოზე ვრცელი სტატია: «ქვეყანა, საიდანაც სტალინი იყო». ამ წერილში ის გასაოცარი ცოდნით აცნობს მკითხველს ამ უძველესი ერის ვინაობას და მის როლს და მნიშვნელობას კავკასიაში, მის ათასწლეულან კულტურას, საარსებო ბრძოლას, ენის თავისუფლებას, სარწმუნოებას, ქება დიდებით იხსენიებს მის მდიდარ ლიტერატურას. მოჰყავს სანიმუშო ადგილები ქართულ ლირიკულ პოეზიიდან (ზოგი ქართულადაც), რომლებიც სამშობლოს სიყვარულს ღალადებენ და ასკვნის: «მე არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ისეთი ადამიანი, რომელიც ქართველისებურად შეპყრობილი ყოფილიყოს საკუთარ სამშობლოსადმი სიყვარულით».

სტალინი აქედან იშვიათი გამონაკლისია მისთვის: «ის იყო დიდი პიროვნება, მაგრამ ცუდი ქართველი», ამთავრებს ავტორი.

რ.

## იოსებ ელიგულაშვილი.

გასული წლის ოქტომბრის 20-ს, პარიზში, მძიმე ავთმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა იოსებ ელიგულაშვილი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი დამოუკიდებელ საქართველოში.

დავკარგეთ კარგი ადამიანი და სასარგებლო კაცი. ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსეს, მას შეეძლო ძალიან გამოდგომოდა ჩვენს ქვეყანას, რომლის ღრმა სიყვარული მას ჰქონდა.

ჩვენ არ გვყავს ბევრი მოღვაწე ეკონომიურ ცოდნით აღჭურვილი; განსვენებული იოსები ერთი იმათგანი იყო და მისი ცოდნა ეკონომიურ საკითხებისა არ განისაზღვრებოდა უთვალავ წიგნების კითხვით, არამედ იგი შემკობილი იყო აგრედვე პრაქტიკულ ცოდნითა და გამოცდილებით.

იოსები დაიბადა ქუთაისში 1890 წლის 12 ნოემბერს, იქ კარგად ცნობილ ქართველ ებრაელის მდიდარ ოჯახში; სა-

შუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო და უმაღლესი სწავლა მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში დაამთავრა. ამასთან ერთად, იგი თითქმის ბავშობიდანვე გვერდში უდგა მამასა და ძმებს ფართო საეკურო საქმეებში, როგორც ჩვენში (უმთავრესად ქუთაისში), ისე მოსკოვში. ასე იქნდა იგი პრაქტიკულ გამოცდილებას.

ყველაფერი ხელს უწყობდა ახალგაზდა იოსებს, რათა იგი მდიდარ და უზრუნველყოფილ ცხოვრებაში ჩაფლულიყო; მაგრამ მან სულ ადრე საზოგადო საქმის სიყვარული და განმათავისუფლებელ მოძრაობის სიმპატიები გამოიჩინა, სოციალდემოკრატიულ პარტიას მიემხრო და ბოლომდის ამ მსოფლმხედველობას შერჩა.

ბოლშევიკურ გადატრიალების დროს, იგი მოსკოვში მოხდა, სადაც მას და მის ოჯახს დიდძალი ქონება ჩამოართვეს; მან თავის თვალთ იხილა «სამხედრო კომუნისმის» აუტანელი წესები. დაბრუნდა სამშობლოში იმ სურვილით ასულდგმულებული, რომ ქვეყანას გამოდგომოდა და ამისთვის იმის მაგიერ, რომ შემოსავლიან კერძო საქმეებს გაყოლოდა, თავისუფალ საქართველოს სახელმწიფო საქმიანობაში ჩაება: ჯერ იგი დანიშნული იყო საგარეო ვაჭრობის («საქონლის გაცვლა-გამოცვლის») კომიტეტის წევრად, მერე არჩეულ იქმნა დამფუძნებელ კრების დეპუტატად, შემდეგ გამოგზავნილი იყო ევროპაში ეკონომიურ აგენტად და ბოლოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე იყო მოწვეული. ყოველგან ერთგული, მცოდნე და პატიოსანი აღმასრულებელი იყო დაკისრებულ მოვალეობის.

ჩვენი ქვეყნის ტრალედია მძიმე იყო მისთვის, როგორც მორალურად, ისე ნივთიერად; მაგრამ მან მაინც შესძლო უცხოეთშიც საკუთარ ფეხზედ დადგომა და თავის მრავალრიცხოვან ოჯახის მოწყობა.

განსვენებული იოსები კარგი გულის ადამიანი იყო: ყოველგვარ საზოგადო საქმეში მონაწილეობას იღებდა, თუ მას კი დაუძახებდნენ, და კერძო ცხოვრებაშიც ყველას, ვინც საჭიროების დროს მას მიმართავდა, ეხმარებოდა ხოლმე... ემიგრაციაში საჭიროება ხომ მუდამ დიდია!

იოსებ ელიგულაშვილი, დასასრულ,—და ეს უნდა ხანგასმით აღინიშნოს—საუკეთესო გამომხატველი იყო იმ ერთობის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ებრაელებს ქართველ ხალხთან აკავშირებდა და რომელიც ებრაულ საკითხის მცოდნეებს საბუთს აძლევდა დაენახათ ქართველ (და ჩრდილო-კავკასიელ) ებრაელებში თვისებები სრულიად განსაკუთრებული საერთოდ ებრაელობასთან შედარებით, არამც თუ ზნე ჩვეულებით, არამედ ფიზიკურადაც. ეს გარემოება და ქართველ ერის მათდამი დამოკიდებულება საბუთს აძლევდა ქართველ ებრაელობას თავისთავი «მოსეს

რჯულის» ქართველებათ აღეარებიათ; ამავე გარემოებამ და ამ მოტივმა ხელი შეუწყო ქართველ ებრაელობას თავი დაეხსნათ იმ საშინელებიდან, საერთოდ ებრაელობას რომ დაატყდა ნაცისტურ გერმანიის მიერ დაკავებულ ქვეყნებში უკანასკნელ ომის დროს.



იოსებ ელიგულაშვილი.

არჩეულმა ამ საშინელ ტრადედიის დროს უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველ ებრაელების ასოციაციის თავმჯდომარეთ პარიზში, იოსებ ელიგულაშვილმა დიდი ენერჯია და თავგანწირულობა გამოიჩინა ამ საკითხის დასაცავათ. ბედნიერი, რომ მისი ღვაწლი ნაყოფიერი გამოდგა და ყველა ქართველი ებრაელობა (და მათთან ერთად ბევრი სხვაც) საშინელებას გადაარჩინა; იოსები დიდი მადლობით იხსენიებდა ყველა მათ, ვინც ამ საქმეში მას დაეხმარა; და უპირველეს ყოვლისა იგი იხსენიებდა საქართველოს ისტორიას, რომელმაც—მისი სრულიად სამართლიანი აზრით—ისეთი ნიადაგი მოუმზადა ქართველ ებრაელობის მდგომარეობას ქართველი ხალხის არსებობის ძლიერ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, რომ მან ხელი შეუწყო იმათ შორეულ უცხოეთშიც საშინელ ტრადედიიდან უმტკივნეულოთ გამოსვლას.



ამ საქმემ გააცნო იოსები და დაახლოვა იგი უცხოელ ებრაელებს და მათ წრეში მას დიდი პატივისცემა მოუპოვა. თვითონ კი, იოსები, ამ უცხო წრეში მუდამ წინ სწევდა საქართველოს ისტორიას და ქართველ ხალხის განსაკუთრებულ ურთიერთობას ქართველ ებრაელებსთან დამოკიდებულებაში. განსვენებულს დიდი სურვილი ჰქონდა, ეს ისტორიული ეპიზოდი ქართველ ებრაელების ცხოვრებიდან განსაკუთრებულის აქტით ყოფილიყო აღნიშნული და ამისთვის იგი ემზადებოდა კიდევც...

მისმა უდროვო სიყვდილმა დაამწუხრა მისი ოჯახი, და ამგლოვიარა მისი მეგობრები და მთელ ქართველ კოლონიას პარიზში გული დასწყვიტა. ყველა ტკბილათ მოიგონებს იოსებ ელიგულაშვილს.


### ამხ. ნიკიტა ივანიშვილი.

27 წლის ლტოლვილობის შემდეგ სამუდამოდ დაიხუჯა ამხ. ნიკიტას ჯუჯიანი თვალები. ამ ადამიანს ყველაფერი გააჩნდა იმისათვის, რომ პირადი ცხოვრება თავის გემოზე აეწყო და წუთი-სოფელი უზრუნველად გაეტარებია, მაგრამ მისმა ხალხოსნურმა სტიქიამ ახალგაზდობიდანვე მიიზიდა იგი მღელვარე რევოლუციონურ საქმიანობისაკენ. 40 წელი შესწირა მან მის ახალგაზდულ გატაცებას—გლეხობის ამოძრავებას და სამოქალაქო ცხოვრებაში ჩაბმას. ხალხის შვილი ხალხთან იყო ჭირსა და ლხინში. ამხ. ნიკიტა—სამაზრო კომიტეტში; ამხ. ნიკიტა—სარაიონო და სასოფლო ხელმძღვანელ ორგანიზაციებში; ამხ. ნიკიტა—ქორწილში და ტირილში. მან დაიმსახურა უსახლგრო ნდობა და სიყვარული ყველა მაშვრალთა და მოჭირანხულეთა; მისი მუდამ მოხდენილი სათამადო სიტყვაც გამამხნევებელი პროპაგანდის სიტყვებიდან გამოდიოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას ამხ. ნიკიტა ისევე თავდავიწყებით ემსახურებოდა პარტიულ პოსტებიდან, როგორც მის მოპოების საქმეს. მთელი თავისი ენტუზიაზმით—სიტყვით, საქმით და იარაღით იდგა ის რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე. მტრის მიერ ამ მონაპოვართა განადგურების შემდეგ ერთი საათითაც არ შეჩერებულა მისი ხალხოსნური მოქმედების ჟინი. ის კვლავინდებურად ჩაუდგა სათავეში არალეგალურ მუშაობას და, ჯოჯოხეთურ პირობებში, პარტიას მისი ძლიერება და ცხოველმყოფელობა შეუნარჩუნა. ის აწყობდა და რაზმავდა ორგანიზაციებს და თვითონ მიუძღოდა წინ ყველა სახიფათო მანიფესტაციებში. 1922 წელს, მეტეხის ციხეში პატიმრობის დროს როგორც დამსახურებულმა მოღვაწემ და მებრძოლმა, მსურველ მონაწილეობა მიიღო ქართულ პარტიათა საერთო ბრ-

ძოლის ორგანოს შესაქმნელად წინასწარ მოლაპარაკებებში, რაც დაბოლოვდა დამოუკიდებლობის კომიტეტის ჩამოყალიბებით.

ძლიერი და შეურიგებელი სოციალდემოკრატიული პარტიის დასასუსტებლად 1923 წელში ოკუპანტებმა საქართველოში მოაქვინეს რუსეთის სოციალდემოკრატიულ მოძრაობის ლიკვიდატორი მარტინოვი. მის «კონფერენციაზე» სამაზრო კომიტეტმა შეაპარა ამხ. ნიკიტა, რომელმაც, მიუხედავად უდიდესი საფრთხისა, უნაკლოდ შეასრულა ხელისშემშლელის როლი და ნამდვილი სოციალდემოკრატიული გამოსვლით დასცა და გაანადგურა მტრის უმზგავსო წამოწყება.



ნიკიტა იმნაიშვილი.

მებრძოლ ორგანიზაციების არცერთ მნიშვნელოვან გამოსვლას გურიაში არ ჰქონია ადგილი, რომ ნიკიტას აქტიური ხელმძღვანელობის როლი არ გამოჩენილიყო. განუწყვეტელი ბრძოლის და მოღვაწეობის პროცესში შექმნილი ნდობა და ავტორიტეტი მთლიანად მოანდომა მან პარტიის და ერის სამსახურს.

1924 წლის აჯანყების შემდეგ რეაქციას ერთი წუთითაც

არ შეურყევია მისი რწმენა და მომავლის იმედი. გამოცდილი ორგანიზატორის ნიჭის წყალობით მან ითამაშა გადამწყვეტი როლი გურიის ცენტრთან დაკავშირებაში და ეს იმ დროს, როცა შეუმჩნეველ ადამიანისათვისაც შეუძლებელი იყო მოძრაობა. მხურვალე მონაწილეობა მიიღო მან უცხოეთში მყოფ ჩვენ ორგანოებთან განუწყვეტელი საფოსტო კავშირის აღდგენაში. ამ არალეგალურ ფოსტას ხელმძღვანელობდა გურიის კომიტეტი, რომლის თვალსაჩინო წევრი იყო ამხ. ნიკიტა.

არალეგალური ცხოვრებით და მუშაობით დაღლილ-დაქანცული ნიკიტა 1926 წლის გაზაფხულზე გამოემგზავრა უცხოეთში. ლტოლვილობაშიც მას ასაზრდოებდა მუდმივ ბრძოლის ცეცხლში გამოკვეთილი იმედიანობა. მან იცოდა რისთვისაც იბრძოდა და სწამდა რასაც აკეთებდა. ამხანაგების გასაჭირი და უბედურება აქაც მისი ბუნებრივი სოლიდარობის საგანს შეადგენდა. მეგობართა წრეში მას ზედმეტ სახელად უწოდებდნენ «სბორჩიკ»-ს, რადგან მუდამ ვინმეს სასარგებლოდ დახმარების ძიებაში იყო.

12 წლის განმავლობაში უკურნებელმა სენმა მიაკრა ლოგინს მისი დასუსტებული სხეული, მაგრამ მთელი თავისი არსებით ტრიალებდა იგი ჩვენი ყოველდღიურობის ატმოსფეროში. რა უტეხი იმედიანობით იცქირებოდა ეს დავრდომილი კაცი იმ სანატრელ მომავლისაკენ, როცა თავის საყვარელ ქვეყანას და ოჯახს თავისუფლად იხილავდა?

განგვეშორა უძვირფასესი მეგობარი, სიცოცხლით და იმედით სავსე მებრძოლი.

რა სისწრაფით გაჰყვა ამხ. ნიკიტა მის სათაყვანებელ ნოე ჟორდანias, მის დიდ მასწავლებელს და დიდ მეზობელს, რომლის გარდაცვალება სასიკვდილო ლაზვრად დაესო მის დასნეულებულ გულს!

ვ. ინწიწველი.

### ალექსანდრე შაჩულია.

დავკარგეთ ალექსანდრე, ერთგული ამხანაგი, დამსახურებული მებრძოლი, იშვიათი მეგობარი, დიდი ნებისყოფისა და ურყევი პრინციპების ადამიანი. გასული წლის 27 აგვისტოს, ბერლინის ერთ-ერთ საავადმყოფოში, შეწყდა მოულოდნელად მისი სპეტაკი გულის ძგერა, მისი საყვარელ მამულის უხილავად, რომლის სითბოში მოსვენებას ის უმალეს ბედნიერებად ისახავდა.

1903 წელში ალექსანდრე დაუკავშირდა ჩვენს პარტიას, გახდა მისი აქტიური წევრი, მალე არჩეულ იქნა ფოთის ორგანიზაციის პრეზიდიუმში და, მცირე ინტერვალებით, 1921 წლამდე ამ ფუნქციას შერჩა. 1904—1908 წ.წ. პარტიის დავა-

ლებით ის მეთაურობდა 45 კაცისაგან შემდგარ მებრძოლ ჯგუფს, რომლითაც ის 1906—1907 წ.წ. მდგარ ბრძოლას ეწეოდა იმ დროს მძვინვარე რეაქციასთან.

1908 წელს პარტია ამ ჯგუფს აუქმებს. ალექსანდრეც ოდესაში სამხედრო ბეგარას იხდის, იგზავნება სამხედრო სკოლაში და, მისი დამთავრებისას, ხდება ლეიტენანტი. სამსახურის ხანებშიც ის მუდმივ კონტაქტში რჩება ფოთის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციასთან, უკავშირდება ოდესის ორგანიზაციასაც და აწარმოებს რევოლუციონურ მუშაობას ჯარისკაცებში. 1911 წელში, მისი მონაწილეობით, არეულობა ხდება ოდესის გარნიზონში. ალექსანდრეც იძულებულია ათასეულიდან გაიქცეს და ბრუნდება არალეგალურად სამშობლოში. აქ ის ახერხებს სათადარიგო ლეიტენანტად მადარიცხვას, ჩვეული გატაცებით უბრუნდება პარტიულ მუშაობას და ასრულებს მრავალი სახის დავალებებს.

პირველი მსოფლიო ომი ალექსანდრემ ოფიცრის ხარისხით ჩაატარა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში გერმანულ ტყვეობიდან და კვლავ პარტიულ მუშაობაში ებმება. მას აბარებენ ფოთის სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობას. 1919 წელში, თავის გვარდიით, ის მონაწილეობს ღებულობს «თეთრების» წინააღმდეგ სოჩა-გაგრის ბრძოლებში. რისიცი ცნობილი შედეგი იყო ამ ქაღალბის განთავისუფლება 4500 კაცის ტყვედ წამოყვანით. გაგვიდან ის მხოლოდ 1920 წელში ბრუნდება ისევ ფოთში, გატაცებით მუშაობს ნორჩი რესპუბლიკის აღმშენებლობაში და პარტიის დავალებით მივლინებულ იქნა მიწის რეფორმის კომისიაში.

საბჭოთა მუხანათ შემოსევისას ალექსანდრე ბოლომდის იბრძვის გვარდიასთან ერთად ქართულ ჯარების ნაწილებში. მებრძოლი სული ვერ ურიგდება დამარცხება-დაპყრობას და ის იპურება განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მალე აპატიმრებენ, გადაჰყავთ მეტეხში და 1922 წელში, 61 ქართველთან ერთად, მას ასახლებენ გერმანიაში. მას შემდეგ ის ცხოვრობს განუწყვეტლივ ბერლინში. უშრეტო ენერჯით მონაწილეობს პარტიულ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხშირად ხელმძღვანელ თანამდებობებზე და საერთო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. აქვე, მეორე მსოფლიო ომის დროს, ის ჰკარგავს თავის საცვარელ მუფლეს.

ომის მიწურულში ალექსანდრე იძულებულია დარჩეს ბერლინში, სადაც ის ბრძოლების დროს და მათ შემდეგაც იშვიათ სიმამაცეს იჩენს. კერძოდ და განსაკუთრებით დიდი დღვალნი მიუძღვის მას იმ ქარხნის და მისი ადმინისტრაციის გადარჩენის საქმეში, რომელშიაც ის ხანგრძლივად უბრალდ მუშათ ითვლებოდა.

უთვალავ გვირგვინების დადებით და სამარის კარზე ცრემლ-ნარევ მგრძობიარე სიტყვების წარმოთქმით ღირსე-

ულად გამოხატეს ქარხნის ადმინისტრაციამ და მუშებმა ამ კარგი ადამიანის დამსახურება და იშვიათი პატივისცემით მიიბარეს ის კოეპენიკის სასაფლაოს.

ალექსანდრეს ხსოვნა წარუშლელად დარჩება მის ნაც-ნობ-მეგობრების მეხსიერებაში და ერთჯერ ბორკილ აყრილი ერიც განსვენებულის ამაგს მისი ცხედრის საკუთარ მიწისათვის მიიბარებით დააფასებს.

ე. რი—ლი.

## ძაბთველოზა უცხოეთში.

კ. ჩხეიძის გარდაცვალების წლის თავი.

როგორც ყოველ წელს, მიმდინარე წლის 14 ივნისს ჩვენს ძვირფასს კარლს სასაფლაოზე თავი მოიყარა ქართველ საზოგადოებამ.

სიტყვა წარმოსთქვა კ. გვარჯალაძემ და აკ. ჩხენკელმა.

ქ. ჩიქოვანიძის სატლავზე.

ქართულ სათვისტომოს გამგეობის თაოსნობით, როგორც ყოველ წელს, 28 ივნისს, გადახდილ იქნა პანაშვიდი ქ. ჩოლოყაშვილის სასაფლაოზე მისი ხსოვნის აღსანიშნავათ. მამა ილიას მიერ პანაშვიდის გადახდის შემდეგ სიტყვები წარმო-სთქვეს: ბ.ბ. აკ. ჩხენკელმა და ელ. პატარიძემ.

აპალონ კობახიძე.

მოულოდნელათ გარდაიცვალა აპალონ კობახიძე. აპალონი იყო პროფესიით ინჟინერი, აღჭურვილი ფართო საერთო განათლებით და სამთო დარგის დიდის ცოდნით. სამთომადნის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის მიწვეული იყო ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მიერ საინჟინერო-ტექნიკური განათლების საქმეების ხელმძღვანელათ, სადაც თავისი ენერგიული მუშაობით საერთო პატივისცემა დაიმსახურა. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ის მსახურებდა სამხედრო სამინისტროსთან არსებულ საინჟინერო განყოფილების უფროსათ, როგორც გამოცდილი ინჟინერი-საპიორი.

აპალონი იყო წვერი სოც.-რევ. პარტიისა, იღებდა მონაწილეობას რევ. მოძრაობაში ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის გადმოიხვეწა საფრანგეთში და აქ მსახურებდა ერთ დიდ ფრანგულ ქარხანაში, როგორც ინჟინერი.

აპალონი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ ემიგრანტულ საზოგადოებრივ წამოწყებაში.

დასაფლავებულია «ძმთა სასაფლაოზე» ლევილში. მის დასაფლავებას მრავალი ქართველობა დაესწრო.

ა. ბ.

ამს. ვლ. ბაქრაძის გარდაცვალება.

მიიშე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამს. ვლ. ბაქრაძე. ის დასაფლავებულ იქნა «ძმთა სასაფლაოზე» ლევილში 18 ივლისს. დასაფლავებას დაესწრო დიდძალი საზოგადოება. კუბოს ფარავდა ცოცხალი ყვავილების გვირგვინები და თაიგულები სოც.-დემ. ორგანიზაციებიდან და პირადი პატივისმცემლებიდან. სიტყვები წარმოსთქვეს: გერ. ბოლქვაძემ, სვ. ჩიკვილაძემ, ალ. შათირიშვილმა, კ. გვარჯალაძემ და უკრაინელმა ამხანაგმა აბონდანში მყოფ უკრაინელთა სახელით.

ვრცელი ნეკროლოგი დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

ი. გობეჩიას მოხსენება.

მიმდინარე წლის 10 მაისს ბ. ი. გობეჩიამ პარიზის ქართულ საზოგადოების წინაშე გააკეთა მოხსენება: «საქართველოს პრობლემების უმთავრესი მომენტები». მომხსენებელი შეეხა რა ქართულ ეროვნულ საბჭოს დამის აღმასრულებელ კომიტეტის წარსულ მოღვაწეობას, კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მათ თავიანთი მუშაობით შესძლეს ამერიკის საზოგადოებრივი აზრის წინაშე საქართველოს საკითხი დაეყენებიათ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ალ. ასათიანის მოხსენება.

20 ივნისს ბ. ალ. ასათიანმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: «ქართველი ერი მსოფლიო ქარტეზილში». მომხსენებლის მიერ ზოგიერთ საკითხების დასმამ, ამ საკითხებისადმი მიდგომამ და მისმა ზომიერმა კილომ, დამსწრეთა შორის გამოიწვია ერთგვარი ინტერესი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ალ. ჯაფარიძემ, გრ. ურატაძემ, აკ. ჩხენკელმა, ი. გობეჩიამ და მ. ჩუბინიძემ.

პარიზის ახალგაზდათა დემოკრატიული კავშირი.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ ახალგაზდათა ორგანიზაციის პირველი საჯარო გამოსვლა 6 ივნისს, სადაც გარდაცვალებულ ჩვენი პრეზიდენტის შვილმა რ. ყორდანიამ წაიკითხა მოხსენება ქართულ მუსიკალურ ფოლკლორის შესახებ; აქ მან პირველად გვაჩვენა თავისი ნიჭი, დაკვირვება და მუსიკალური ხელოვნების ცოდნა. ჩვენი ახალგაზდა კომპოზიტორი იჩენს უდიდეს ინტერესს ქართულ მუსიკისადმი და ჩვენი მოვალეობაა ხელი შეუწყოს მას—მივაწოდოთ ამ დარგში მასალები, რომ უკეთესათ განაგრძოს შრომა ქართულ ხელოვნების სამსახურში.

მეორე მოხსენება გოგი წერეთლისა ენებოდა საქართველოში კოლექტივიზაციის საკითხს. მომხსენებელი საკმაოდ გასცნობია ამ საკითხს. ზოგიერთ პრობლემების ანალიზიდან, მან გამოიყვანა მომავალ საქართველოში ეკონომიურ საფუძვლის ზოგიერთი შესაძლებლობანი. მოხსენება იყო ფრიად

საინტერესო და სასარგებლო მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ბ. კ. გვარჯალაძემ და გრ. ურატაძემ.

ნოე ქორდანიას ხასველბის წრე.

ქალბატონ ინა ქორდანიას თაოსნობით პარიზში დაარსდა «ნოე ქორდანია ხასველბის წრე», რომლის მთავარი მიზანია შეისწავლოს ნოე ქორდანია პიროვნება და მოღვაწეობა.

წრის წევრებს უსურვებთ ამ საქმისთვის ბეჯით და ნაყოფიერ მუშაობას.

### წმილი რედაქტორი მიხატო.

ბატონო რედაქტორ!

გთხოვთ მომიტავსოთ შემდეგი განცხადება: პირადი გამოცდილების და მოსახრების შემდეგ გადავსწავიტე და ვაცხადებ, რომ ამიერიდან უცხოეთში არსებულ ქართულ პოლიტიკურ დაჯგუფებებთან არავითარი დამოკიდებულება არ მექნება, ამის გარეშე მზად ვარ ყოველ მომენტისთვის ჩემის შეგნებით და ენერგიით ვემსახურო ქართულ წმინდათა წმინდა საქმეს, სანამ ვიმყოფები სამშობლოს გარეთ.

პატივისცემით დ. ქიქერიძე.

### ქართული რადიო-გადაცემები.

მიუხედავად რადიო-სადგურმა, რომელსაც ეწოდება «განთავისუფლება» და რომელიც ლაპარაკობს ანტი-ბოლშევიკური საკოორდინაციო ცენტრის სახელით, უკვე დაიწყო გადაცემები. გადაცემები ხდება ამ ცენტრში შემავალ ყველა ეროვნებათა ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზე, ქართული რადიო-რედაქციის მიერ, რომლის მთავარი რედაქტორია რაქდენ არსენიძე.

ქართული გადაცემა სწარმოებს საღამოს 7,30, 8,30, 10,30 წ. აქაური დროით. საქართველოში თბილისის დროით ემატება ორი საათი.

გადაცემა არის 15 წუთიანი, მოკლე ტალღებზე, 19 მეტრი. გადაცემებს (ყოველდღიურ ამბებს) თან ახლავს მოწოდებები და ამბების კომენტარები.

### დახმარება «ჩვენი დროსა»-ს.

უადგილობის გამო ამ ნომერში არ იბეჭდება სია შემომწირველთა.



ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)